

# ნ. ჭეცხოველი

ქართულის  
აღმოფხვრის  
ოქტობრის  
რეკა

(ფურცლი ზუკით)

ნაშრომში მოკლედაა აღწერილი საქართველოს მცენარეული საფარი ბუნებრივი სარტყლების (ზონების) მიხედვით. ძირითადად ბუნებრივ პირობებში გავრცელებული სოფლის მეურნეობის ტიპისა და ცალკეულ კულტურულ მცენარეთათვის დადგენილი და აღწერილია ინდიკატორთა ერთეული სახეობანი ან ჯგუფები, ვინაიდან საქართველო ერთ-ერთი კერაა კულტურულ მცენარეთა წარმოშობისა და ველური მცენარეულობიდან, ცალკეულ სახეობათა რეინაუტრება დღესაც შეიმჩნევა, ამიტომ ამ საკითხებსაც აქვს დათმობილი სათანადო ადგილი. ბოლო ნაწილში განხილულია რუკის შედგენის პრინციპი და ველური მცენარეულობის გარკვეული ერთეულების მიხედვით აღწერილია საქართველოსათვის დამახასიათებელ კულტურულ მცენარეთა ჯგუფები, რაც ასახულია საქართველოს მცენარეულ რუკაზე.

შრომას თან ერთვის აგროგეობოტანიკური კურა.

В книге вкратце дается описание растительного покрова Грузии. Для каждого сельскохозяйственного типа уточнены и в соответствующей главе приведены индикаторы из дикорастущей флоры как для отдельных культурных растений, так и для крупных сельскохозяйственных групп (субтропические культуры влажных районов, субтропические культуры сухих районов, континентальное плодоводство, виноградарство, пашенводство и т. д.).

Грузия является очагом многих культурных растений и одомашнивание растений из дикорастущей флоры отмечается и ныне, что и отражено в работе. В последней главе разбираются вопросы принципов составления агрогеоботанической карты; по крупным природным единицам даются группы культурных растений.

## შ მ ს ა ვ ა ლ ი

აგროგეობოტანიკური რუკის შესადგენად პირველ რიგში საჭიროა შედგეს ქვეყნის გეობოტანიკური რუკა. ამავე დროს გეობოტანიკური რუკა სასურველია იყოს აღდგენილი და ფაქტიური მცენარეულობისა. რასაკვირველია, ასეთი რუკის შედგენის დროს გამოყენებული იქნება ბუნებრივ პირობათა მთელი კომპლექსი.

კულტურულ მცენარეთა ინდიკატორთა დადგენა ველური მცენარეებიდან ხელს შეუწყობს კულტურულ მცენარეთა საზღვრების დადგენას ვერტიკალურადაც და ჰორიზონტალურადაც, აგრეთვე მათი არსებულისა და პერსპექტიული ზღვარისაც.

საქართველოს კულტურული მცენარეულობის ისტორია მდიდარი წყაროა ამა თუ იმ კუთხის გასამდიდრებლად, რადგან ჩვენი ისტორიის მკვლევარების შედეგად მრავალი კულტურული მცენარე დავკარგეთ და მათი მოძიება შეუძლებელია ან ღრმა ხეობებში, ან მუშობელ ქვეყნებში. ზოგი მათგანი კი სამწუხაროდ უიმედოდ დაიკარგა. საერთოდ ასეთი მუშაობის დროს ყურადღასაღებია მხარის ისტორიულ-ეკონომიური განვითარების პროცესების შესწავლაც.

საქართველო წარმოადგენდა ერთ-ერთ ძირითად კერას, სადაც კულტურულ მცენარეთა მოშინაურება ხდებოდა. ეს პროცესი დღესაც გრძელდება. ზოგიერთი მცენარის მოშინაურება ამ პროცესის პირველ საფეხურზეა. მიუხედავად ამისა, მოშინაურებათა კერის დადგენას კულტურულ მცენარეთა ზღვარის დასადგენად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

გეობოტანიკურ რუკაზე მოხაზულია კულტურულ მცენარეთა ზღვარი. ამ ზღვარს შიგნით შტრიხით აღნიშნულია მეურნეობის ძირითადი ტიპები, ამ შტრიხებიდან კარგად ჩანს გეობოტანიკური რუკის სიმბოლიკა.

ასე მაგალითად: ველები, ნათელი ტყეები, ძეძვიანები და სხვა მსგავსი ტიპის ბუჩქნარი ყოფილა მეცენარეობისა და მშრალი სუბტროპიკების მეხილეობის არეც.

მაგრამ კულტურულ მცენარეთა ზღვარს გარეთ რჩება გეობოტანიკურ რუკაზე აღნიშნული ველების, ნათელი ტყეებისა და სხვათა ფართობების საკმაოდ დიდი ნაწილი. ჩვენ ვიცით, რომ მცენარე და, განსაკუთრებით, ცენოზი შესანიშნავი ინდიკატორია კულტურული მცენარისა, ამიტომ ვგულისხმობთ, რომ ეს თავისუფალი ადგილები, რომელიც კულტურულ მცენარეთა შტრიხით არ არის დაფარული შეიძლება ავითვისოთ ვენახით ან მშრალი სუბტროპიკების ხილველი სხვა მცენარეებით.

ასე უნდა განვიხილოთ მცენარეულობის სხვა ტიპის ის ფართობები, რომელნიც რჩება მეშინდერეობის ზღვარს მიღმა, თუ მეშინდერეობა ვრცელდება, ვთქვათ, რცხილნარ-წიფლნარის ან სხვა ველურ მცენარის ცენოზის არეზე, მაგრამ რუკაზე კი არის ამ ცენოზის ჯერ დაუჭერელი ადგილი, ისიც მეშინდერეობის არეა.

ამ საკითხების უფრო ნათელი წარმოდგენისათვის საჭიროდ დავინახეთ მოკლედ განვიხილოთ მცენარეული საფარი სარტყლების მიხედვით, კულტურულ მცენარეთა წარმოშობის საკითხები, ინდიკატორი და სხვა საკითხები. შემდეგ უკვე მოცემულია თვით აგროგეობოტანიკური რუკის განმარტება.

## მცენარეულობა

### ჰალისა და ვაკეების ტყეები

მდინარის პირის ანუ ჰალის ტყეები გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს ვაკის მდინარეთა ჰალებში, გარდა ალაზნის შუა წელის ჰალის ტყეებისა. ისინი შუა აზიის ტუგაის ტყის ანალოგებია.

კახეთის მდინარის პირის და ალაზნის ჰალის ტყეები გენეტიკურად შორეულად დაკავშირებულია კოლხეთისა და თალიშის ტყეებთან (ლაფანი\*, ძელქვა, პასტუხოვის სურო და სხვ.). ამ ტყეების ძირითადი ფონი მდინარის პირისკენ შექმნილია ჰიბრიდული ხვალის, ჩვეულებრივი მურყნის, წითელი ტირიფის, გრძელყუნწა მუხის, სუბერიანი თელის, შეფოთლილი თელის, ღვედკეცის, ჩვეულებრივი სუროს, პასტუხოვის სუროს, ეკალ-ლიჭის, კრიკინასა და სხვათაგან.

მტკვრისა და მისი შენაკადების (იორი, არაგვი, ლიახვი, ქცია, ალგეთი, თეძამი, ტანა, ძამა და სხვ.) ჰალებში პირველი, მდინარის პირის ტყის ზოლის შემქმნელია ხვალა, ოფი, მურყანი, ტირიფები; მეორე ზოლში ჰარბობს გრძელყუნწა მუხა, თელები, მინდერის ნეკერჩხალი. ხეები, განსაკუთრებით მდინარის პირისკენ, გადახლართულია ლიანებით, მაგრამ გაუვალ ბარდებს იშვიათად ქმნიან, აქ უკვე აღარ გვხვდება ალაზნის ჰალისა და ვაკის ტყისათვის დამახასიათებელი ლაფანი, პასტუხოვის სურო, ძელქვა და კოლხეთის და თალიშის სხვა ელემენტები.

ჰალის ტყეებში დიდი რაოდენობით აღინიშნება ველური ხილეული: მაქალო, პანტა, ტყემალი, შინდი, ზღმარტლი, ბალამწარა, ბია.

ვაკეების მუხნარ და თელნარ ტყეებს ჯერ კიდევ ახლო ისტორიულ

\* ლათინური სახელწოდებანი იხილეთ თანდართულ „წიგნში ხმარებულ მცენარეთა სახელწოდებათა ქართულ-ლათინურ ლექსიკონში“.

წარსულში საკმაოდ დიდი ფართობები ეკირათ შიდა ქართლის, ზემო ქართლის, ქვემო ქართლისა და კახეთის ვაკეებზე, მაგრამ მათ თანდათანობით დაუთმეს თავის ადგილსამყოფელი სოფლებს, ბალ-ვენახს, სახნავ-სათესს ან უფრო ხრიკ და შედარებით მწირ ადგილებში ბუნებრივ დაჯგუფებათ (ძეძვიანებს, ნარეკლიანებს, ველებს). ამ ტყის მონაწილენი სწორედ ის სახეობებია, რომლებიც დღეს შემორჩენილია ჭალის ტყეების მეორე ზოლში ან მთების წინა კალთების მუხნარებში, სადაც ძირითადად ქართული მუხა და, იშვიათად, მუხნარ-რცხილნარებია (რცხილა ხშირია კახეთის ვაკის ტყეებში).

ზოგან ამ ვაკის ტყის ნაშთები დღემდე შემორჩა შიდა ქართლში (ოსიაური, გომი, ძლევი-ჯვარი, მალხაზის ქედი, წილკანი), კახეთში (ანაგა), გარე კახეთში (უჯანამხარი, სამგორი). ამ ტყეების მთავარი შემადგენელი სახეობებია: გრძელყუნწა მუხა, ქართული მუხა, შეფოთლილი თელა, სუბერიანი თელა, იფანი, ნეკერჩხალი, თამელი, შავი კუნელი, წითელი კუნელი, კნაპა და აგრეთვე ყველა ის ხილეული, რომელიც ჭალის ტყეებშიც ჩვეულებრივნი არიან.

აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, თანამედროვე ველების გავრცელების არეში, ჭალის ტყეების შემდეგ გავრცელებული იყო და ამჟამადაც ბევრგან გვხვდება ნათელი ტყე, ვაკის მუხნარის, თავისებური ქსეროფიტული ანალოგი. დღეს ამ ტყეების შემქმნელი ძირითადად საკმლის ხეა. საკმლის ხის ფონზე გვაქვს პატარა-პატარა კორომები კავკასიური აკაკისა, ქართული ნეკერჩხლისა, ბერყენებისა, უმთავრესად ტირიფფოთოლა ბერყენისა და ქართული ბერყენის. გარდა ნათელი ფოთლოვანი ტყისა, საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული წიწვიანი ნათელი ტყე, რომელშიც მონაწილეობენ ელდარის ფიჭვი, მრავალნაყოფა ღვია, მოწითალო ღვია, მყრალი ღვია.

ნათელ ტყეებში, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადი საკმლისხიანია. ალაზნის ქვედა მიმდინარეობაზე ალაგ-ალაგ შემონახულია აკაკიანი, შირაქის გორაკთა განათებულ ფერდობებზე იშვიათი არ არის ბერყენიანი, ხევებში საკმაოდ ჩვეულებრივია ქართული ნეკერჩხალი და ეროიდერთი კორომი არფადარის ხევში ქართული თელისა; დათვის ხევში გადარჩენილია შორეული წარსულის ჭალის ნაშთის სამასიოდე ძირი ტურანგა, ყველა ხე მამრობითია, რის გამო გამრავლება შეზღუდულია, თუ მრავლდება, მხოლოდ ფესვის ნაბარტყით.

საკმლისხიანები გავრცელებულია გავაკებულ, უფრო დამშვიდებულ რელიეფზე, სადაც ქედების ფერდობებიდან ეროზიის შედეგად ჩამოტანილი პროდუქტია აკუმულირებული. წიწვიანი ტყეები (ღვია-ნები) გავრცელებულია უფრო დამრეც და ჩამოხრიოკებულ ფერდო-

ბებზე, რომელნიც შედარებით უფრო ეროდირებულნი არიან. ნათელი ტყეებო, განსაკუთრებით ღვინიანები გვხვდება მცხეთის მახლობლადაც. არმაზის ქედზე და სარკინეთის ქედის სამხრეთ და აღმოსავლეთ ფერდობებზე. სარკინეთის ქედის გავაკებულ ფერდაზე, შიომღვიმის მონასტერსა და მტკვარს შორის, შემონახულია საკმლისხიანიც.

ვაკის ტყეების არეში გვხვდება თავისებური ბუჩქნარი, რომელიც შექმნილია ან მთლიანად ქართული ნუშისაგან, ანდა ნუშის გარდა მასში გვხვდება ქართული ცხრატყავა, შავჯაგა, ძეძვი, კვრინჩხი, შოთხვი და სხვ. (პაპალას ხევი, ქოჩორა, თეთრები).

ნათელ ტყეებს უშუალოდ ემეზობლება, ერთის მხრივ, ჭალის ტყე და კონტაქტის ადგილას შექმნილია ჭალის ტყის თავისებური დაჯგუფება საკმლისხიან-ვერხვიანი (ელდარი-ივრის პირები, ალაზნის მოსაზრუნე, არფადარას შესართავი ალაზანთან და სხვ.) და, მეორეს მხრივ, მუხნარი ქართული მუხისაგან შექმნილი, ან მუხნარ-კუხილნარი (სარკინეთი). შირაქის ხევებშიც იშვიათი არაა ჯაგრციხილა, ქართული მუხა, გრძელყუნწა მუხა და ნათელი ტყის კომპონენტები ერთად.

ნათელ ტყეებში ბუჩქებიდან ჩვეულებრივია ძეძვი, კენკრა, ჯორისძუა, თრიმლი, თუთუბო, უძრახელა, ხორციფერა, კოწახური ქართული, კოწახური ჩვეულებრივი, ბროწეული, ლეღვი და მრავალი სხვ. მოქსეროფიტო მცენარე.

ნათელი ტყეები, საძოვრებად გამოყენების, უწესრიგო ექსპლოატაციისა და უთავბოლო ჩეხვის გამო, უკან იხევენ და ადგილს უთმობენ ძეძვიანს, ნარეკლიანს, შავჯაგიანს და მისთანებს. მაგრამ, როგორც ჩანს. საკმლის ხე ფრიად სიცოცხლისუნარიანია, იგი ზოგიერთ ადგილას (გარეჯის უდაბნო) შავჯაგიანებში და ძეძვიანებში იწყებს აღდგენას.

ნათელი ტყის არეში ზოგიერთი კულტურული მცენარე ადვილად ველურდება (ბროწეული, ლეღვი, ვაზი, ნუში, ქერამი). ასეთი გაგარეულებული ეგზემპლარები განსაკუთრებით ბევრია გარეჯის უდაბნოში (ბერების ბაღ-ვენახებიდან გაგარეულებულნი).

ისე, როგორც ვაკის ტყეების ყოფილი ტერიტორია, ნათელი ტყის ნაალაგევიც გამოყენებულია ზამთრის საძოვრებად, სახანავ-სათესად. ბაღ-ვენახის გასაშენებლად და სხვა.

ნათელი ტყის გავრცელების ძირითადი არე მშრალი სუბტროპიკების გავრცელების არეა (ლეღვი, ნუში, გარგარი, ატამი, ფსტა, უნაბი, აღმოსავლური ხურმა, ვაზი და სხვ.).

ნათელი ტყის გავრცელების ხევებში ბევრია ველური ბროწეულიც. მათ შორის მოიპოვება გაგარეულებული კულტურული ფორმებიც (ეს მხარე მონგოლთა და შემდეგ შაჰ-აბასის ურდოების შემოსევამდე მკვიდროდ იყო დასახლებული).

ველებისა და ნახევარუდაბნოების ფორმაციები ზონალურად მენაკლიან ქალის, ნათელ, ვაკის მუხნარ-თელნარ და მთის წინაკალთების მუხნარ ტყეებს. ველები და ნახევარუდაბნოები თავის არეალს ადიდებენ ამ ფორმაციათა უკან დახვეის ხარჯზე.

უკან დახვეის პროცესს რამოდენიმე ეტაპი, საფეხური ახასიათებს. ასე მაგალითად, მუხნარი, რომელიც ქართული მუხისაგან შედგება, უარყოფით ტიპად ჩამოყალიბებისას შემდეგ საფეხურებს გალის:

1. ქართული მუხისაგან შექმნილი მუხნარი.
2. მუხნარი ქსეროფიტული ბუჩქნარით (ღვიის გარდა). მასში ჩნდება ძეძვი, შავჯაგა.
3. მუხნარ-ჯაგრცხილნარი ძეძვით.
4. ძეძვიანი მუხისა და ჯაგრცხილის ბუჩქნარით.
5. ძეძვიანი ველის ელემენტებით (ველის წივანა, ურო, ჩხვლეტია ჯინქარა, იორდასალაში, ტუბერიანი ჯინქარა, ქაფუნა და სხვ.)
6. კარგად ჩამოყალიბებული ძეძვიანი.

შემდეგში, ადამიანის ზემოქმედების შედეგად, ძეძვიანიც ადგილს უთმობს უროიან ველს, ციკაბო ფერდობებზე, განსაკუთრებით მზვარებზე, ნარეკლიანებს და ურციანებს. ძეძვიანებში ვარჩევთ წმინდა ძეძვიანს, პალასის შავჯაგიანს, გვლერძიანებს, რომელიც შექმნილია კავკასიური გვლერძისაგან. ძეძვიანის არეში იშვიათი არ არის უძრახელიანი ნაკვეთებიც.

ძეძვიანები გარდამავალი საფეხურია ჩამოყალიბებული ველებიდან მთების წინაკალთების ტყეებისაკენ. ამჟამად ძეძვიანების ზემო საზღვარი მერყეობს 650—800—900 მ-ს შორის.

აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში, სადაც დაბლობთა ველები არა გვაქვს, მაგალითად მესხეთში, მტკვრის ნაპირიდან გავრცელებულია მეორადი ტყის ფორმაციები, რომლებშიც დიდ მონაწილეობას იღებენ მესხური ქსეროფიტები. ეს ზოლი მდიდარია მესხური უნდემებითაც. აქ ჩვეულებრივია კოზლოვსკის გვლერძა. მესხური ფოლიო, მესხური ესპარცეტი, აწყურის მიხაკი, რადეს მაჩიტა, თიხნარის გვლერძა, სალბი, სოსნოვსკის უხერუკი, ლიბანის ვერონიკა და სხვანი.

ბარის ველებს უჭირავთ აღმოსავლეთ საქართველოს ფართო ვაკეები და ძირითადად მეორადი წარმოშობისაა. პირველადი ველები—უაიწვერიანები, შირაქსა და გარეჯში გორაკთა და სერების მწვერვალებზეა გავრცელებული ან ძლიერი შევიწმინანავარ ნიადაგებზე ან კარბონატულ არასქელფენიან შევიწმინანავარ ნიადაგებზე.

მთის ველები გავრცელებულია მესხეთ-ჯავახეთსა და წალკა-ზურ-ტაკეტში 1400-დან 1900—2000 მ ზ. დ. სიმაღლემდე. ეს ველებიც მეორადი წარმოშობისაა და წარმოიშვნენ მთის ტყეების დეგრადაციის შედეგად (წიფლნარები, ფიჭვნარები, ნაძვნარები, სუბალპების არყნარები. აღმოსავლეთის მუხნარები და სხვანი). აქაური ველების ტიპური მცენარეებია: წვრილფოთოლა ვაციწვერა, ლამაზი ვაციწვერა, იოანის ვაციწვერა, ლესინგის ვაციწვერა, ურო, ველის წივანა, კობრჩხილა, ქაფუნა, ჯინჯარა და სხვა.

ბარის ველების ფართობის დიდი ნაწილი დაფარულია სახნავ-საოხობით, ბალ-ვენახით, ბოსტან-ნესვ-საზამთროთი, სოფლებითა და ქალაქებით. მცირე ნაწილია გამოყენებული საოხბ-საძოვრად (ელდარი, ალაზნის ველი ხირსის ქვემოთ, ტარიბანა, გარეჯი, იაღლუჯი), მაგრამ ახლო მომავალში, განსაკუთრებით მაშინ, როცა დამთავრდება ზემო ალაზნის არხი, ამ ნაწილის უმრავლესობაც კულტურული ნაკვეთებით დაიფარება. მთამალაღის ველები გამოყენებულია სახნავ-სათესად.

ნახევარუდაბნოთა მცენარეულობა ტიპურია აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ მხარისათვის (ელდარი, გარეჯი, გარდაბანი, ალაზნის ქვედა ნაწილის მარჯვენა ნაპირის ვაკე, იაღლუჯი). ამ ჯგუფის ყველაზე ტიპური მცენარეებია: მეიერის ავშანი, ყარღანი, ჩარანი, მანანასებრი ყარღანი, ჩოღანო, წითელწვერა და სხვა, აგრეთვე მდიდარია ეფემერული მცენარეულობაც.

ამყამად ნახევარუდაბნოები გამოყენებულია ზამთრის საძოვრად, ბერსპექტივაში მეურნეობის ეს ტიპი აღვილს დაუთმობს მშრალი სუბტროპიკების მეურნეობას.

#### კოლხეთის დაბლობთა და ვაკეთა მცენარეულობა

ზღვის პირის ქვიშნარები შავი ზღვის სანაპიროზე ფრიად ვიწრო ზოლსა ქმნის. ამ ზოლის ყველაზე დამახასიათებელი მცენარეებია: ზღვისპირის ლურჯი ნარი, ზღვისპირის ყარღანი, ზღვის შროშანა, ზღვის იონჯა, ზაფხულის ცხენის კბილა და სხვა. იმ ზოლში კი, სადამდეც ტალღა იშვიათად აღწევს, ბალახებიდან—კოლხური ისლი და იმერული მაწაქი იკიდებს ფეხს, ბუჩქებიდან კი — ქაცვი, ძეძვი, ზღმარტლი, ჩვეულებრივი კოწახური, ჩიტავაშლა.

ზღვის სანაპიროდანვე იწყება კოლხეთის ქაობები და ქაობიანი ტყეები, რომელიც გადაკიმულია რიონისა და მისი შენაკადების ქვედა ნიმდინარეობის ნაპირებზე, რომელთაც ორასი ათას ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავთ.

ამ კაობებში ბალახეული მცენარეებიდან ჩვეულებრივია ტბის ისლი, ჩალამყავილა, ლაქაში, გაშლილი კილი, ლამის კილი, თავ-ნასკვასმაგვარი კილი, ნაპირის კილი, ყვითელი ზამბახი, კოლხური ტუხტი, კოლხური ეშმაკის თხილი და სხვა. ბალახიანი კაობები მორიგეობენ ტორფიან კაობებს, რომელნიც საქართველოს ამ ნაწილში საკმაოდ ხშირია.

ბალახოვანი და ტორფიანი კაობები ხშირად შენაცვლიან კაობიან ტყეებს, რომელთა მთავარი შემქმნელია ბანჯგვლიანი მურყანი, ლაფიანი, სამხრეთული ტირიფი, წნორი, ხვალო (ჰიბრიდული ვერხვი), ხურმა და თუთაყ იშვიათი არაა. ეს ხეები აქ უხვადაა გადახლართული ეკალ-ლიქით, ღვედკეციით, კოლხური სუროთი, ჩვეულებრივი სუროთი, კრიკინით და მათ მაგვართ.

კოლხური ტყეებისათვის დამახასიათებელია უნიკალური ხის სახეობანი: ძელქვა და ლაფანი, ქვეტყეში კი — წყავი, შქერი, ბაძგი.

ამ ტყეების ზოლის შემდეგ, ქვეყნის სიღრმისაკენ გავრცელებულია, უფრო სწორად გავრცელებული იყო, ლიანიანი ტყეები, რომელიც შემქმნილია ისეთი სახეობებით, როგორც არის: მურყანი, რცხილა, იფნი, ნეკერჩხალი, ქვეტყეში კი წყავი, შქერი, ბაძგი, თავისიარა, მმერხლი, იელი, მალალი მოცივი და სხვა.

ლიანიანი ტყეები მორიგეობენ კოლხეთის მეზოფილურ ტყეებს, აქ ხეებიდან მთავარია იმერული მუხა, ჰართვისის მუხა, რცხილა, იფნი. წარსულში ამ ტყეებში ფართოდ იღებდა მონაწილეობას ძელქვაც, ზოგან წიფლის ცალკეული ხეებიც, ამ ტყეებში კოლხიდის ლიანები უკვე იშვიათია, სამაგიეროდ ძლიერდება მარადმწვანე ქვეტყე.

ურთას კირქვიან ქედზე კიდევამდე შემორჩენილი დაფნის თავისებური ტყის ნაშთები. კოლხეთისათვის შედარებით ამ მშრალ ტყეებში დაფნის გარდა გვხვდება: ქართული მუხა, რცხილა, ჯაგრცხილა, ზღმარტლი, ბროწეული, ბაძგი, დაფნარის არე, როგორც ჩანს, შეზღუდა მისმა უწესრიგო ექსპლოატაციამ. დასავლეთ საქართველოს კირქვებზე საკმაო ტერიტორია უქირავს მუხნარს და ჯაგრცხილნარს.

ღრმა ხეობებში (ბზიბის ხეობა) ახლაც შემორჩენილია ბზის კორომები. ამ სარტყელში ბზა და ბზის ბუჩქები წარსულში ფართოდ იყო გავრცელებული.

ბიჭვინთა-გაგრის სანაპიროზე ჯერ კიდევ გვხვდება ბიჭვინთის ფიჭვის მშვენიერი რამოდენიმე კორომი (განსაკუთრებით თვით ბიჭვინთაში). ამავე ზოლში იშვიათად, მაგრამ მაინც ადგილ-ადგილ გვხვდება სმელთაშუა ზღვეთის ელემენტები: ხემარწყვა, ცისტუსი.

მთების შუასართყლის მცენარეულობას დასავლეთ საქართველოში უჭირავს 500—1800 მ ფართობი, აღმოსავლეთ საქართველოში — 800—2000 მ. ამ სართყელში, ბუნებრივი პირობების შედარებით ერთნაირობის გამო, მცენარეული საფარიც თანაბარია, წარმოდგენილია უმთავრესად ტყის ფორმაციებით.

საერთოდ საქართველოში ფოთლმცვივანი ხეებისაგან შექმნილ ტყეებს უჭირავს 1 584 900 ჰა, წიწვოვანი — 483,000 ჰა, ამათგან სოკნარია 220,900 ჰა, ნაძვნარი — 130,800 ჰა, ფიჭვნარი — 130, 000 ჰა, ლეიანები — 200 ჰა-მდე, დანარჩენი ტერიტორია განაწილებულია სხვა სახეობათა შორის.

ფოთლოვანი სახეობათა მიერ შექმნილი ტყის ტერიტორია შემდეგნაირადაა განაწილებული: წიფლის ტყე — 1030200 ჰა, რცხილნარი 151700 ჰა, მუხნარი — 145,000 ჰა, არყნარი—59,700 ჰა, ვაკის მურყნარი—49,800 ჰა, ჯაგრცხილნარი — 41,800 ჰა, წაბლნარი — 31,800 ჰა, დანარჩენი ტერიტორია უჭირავს: მთრთოლავ ვერხეს, ნეკერჩხალს, ხეალოს, ბზას, იფანს და სხვ.

ჩვენი ტყეების 97% მთის ტყეებია, ვაკეზე მცირედ დარჩა მურყნარები, ვერხვნარები, მუხნარები — გრძელყუნწა მუხისაგან (რიონის დაბლობი, ალაზნის პირები).

ქართული მუხისაგან შექმნილი აღმოსავლეთ საქართველოს მუხნარები გავრცელებულია 900 მ სიმალიდან. ქართული მუხის კორომებში ხშირია 500—600 მ-ზეც. მას სიმალის მიხედვით შემდეგ სართყლად მოსდევს რცხილნარი (1000—1100 მ), ბევრგან ეს ტყეც მეორადია, რომელიც წიფლნარი ტყის უკან დახევის შემდეგ ჩნდება.

მას მოსდევს წიფლნარი. წიფლნარი ტყე აღმოსავლეთ საქართველოში უფრო მაღლა იწყება (800—1000 მ), ვიდრე დასავლეთში (500—600 მ). სოკნარ-ნაძვნარები და ნაძვნარ-სოკნარები დასავლეთ საქართველოს მთების ღრმა ხეობებშია გავრცელებული, სამხრეთ საქართველოში უფრო ტიპიურია ფოცხოვის წყლისა და ქობლიანის წყლის სათავეებზე. აღმოსავლეთ საქართველოში კარგადაა გამოსახული თრიალეთის ქედზე — ბორჯომის ხეობაზე, კავკასიონზე, დიდი ლიახვის ხეობაზე. პატარა ლიახვისა და ქსნის ხეობაზე არ გვხვდება. არაგვის ხეობაზე, ს. არახეთსა და ს. მლეთს შორის, აღმოსავლეთის ფერდობებზე შემორჩენილია ნაძვის რამოდენიმე პატარა კორომი, ამის ქვემოთ, თითო-ოროლა ძირი გვხვდება ალევის ქედზე, ფასანაურამდე. შავი არაგვის ხეობაზე. ფასანაურს ქვემოთ ნაძვი აღარ გვხვდება. არაგვის ნაძვნარები უკანასკნელი მოპიკანებია აღმოსავლეთ კავკასიონზე.

აღმოსავლეთ საქართველოს ამ ზოლის სარტყლის ტყეებში ქვე-  
ტყე, ძირითადად, ფოთოლმცვივანი ბუჩქნარისგანაა შექმნილი. მარად-  
მწვანე ფოთლიანი ქვეტყე უფრო ხშირია დასავლეთ საქართველოში  
და ბორჯომის ხეობის ღრმა ხეობებში.

უკვე ცნობილ მარადმწვანე ბუჩქების გარდა დასავლეთ საქარ-  
თველოსათვის უნდა დასახელდეს ისეთი იშვიათი მცენარეები. როგო-  
რიც არის: უნგერნის შქერი, სმირნოვის შქერი, ეპიგეა, ფილერეა და სხ.

ბალახეულობიდან უფრო ხშირია: გიგანტური წბილა, მთის წბი-  
ლა, ქასრა, სურნელოვანი ჩიტისთვალა, თეთრძირა, ქრისტეს ბეჭე-  
და, ხარისთვალა, მთის ჩადუნა, შავი გვიმრა და სხვა.

წიფლნარებში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, ხში-  
რად გვხვდება: ასოციაციები, წყავით, შქერით, ბაჟით, თავისიარათი,  
იელით, მოცვით, რომელთაც ზოგან ერევა სხვა ფოთოლმცვივანი ბუჩ-  
ქნარი, გვიმრებით, მთის წბილათი, გიგანტური წბილათი, ქასრათი,  
ჩიტისთვალათი, ხარისთვალათი, თეთრძირათი და სხვა. აღმოსავლეთ  
საქართველოს წიფლნარებში მარადმწვანე ბუჩქნარი იშვიათია. უფ-  
რო სწორად პრაქტიკულად არ არსებობს.

რცხილნარის სარტყლის ტყეებში უფრო ხშირად ირჩევა: წმინდა  
რცხილნარი, რცხილნარ-მუხნარი (ქართული მუხით), რცხილნარ-მუხ-  
ნარი (აღმოსავლეთის მუხით), რცხილნარ-ჯაგრცხილნარი, რცხილნარ-  
წიფლნარი, მუხნარ-ფიჭვნარი.

წიფლნარი ტყეების სარტყელში ზოგან შემოგვრჩა უთხოვრის პა-  
ტარ-პატარა კორომი, რომელთა შორის ღირსია მოვიხსენიოთ ალაზ-  
ნის ხეობის ბაწარას ხევის კორომი, სადაც ათასწლოვანი უთხოვრები  
დგას, ეს კორომი უდიდესია საქართველოში; სტორის ხეობის უთხოვ-  
რიანი; უზარმაზარი უთხოვრებია შემორჩენილი აქარაში, მტრიალას  
ქედზე, ნამწვავის წყლის ხეობაზე, თითო-ოროლა ხეა გადარჩენილი  
არაგვის ხეობაზე, ცხენისწყლის ხეობაში და სხვა.

ნაძვნარები და სოკვნარები დაიყოფიან ურთიერთის მონაწილეო-  
ბით: სოკვნარ-ნაძვნარი, ნაძვნარ-სოკვნარი, წმინდა კორომებში კი ქვე-  
ტყის ბუჩქნარისა თუ ბალახების მონაწილეობით. ბუჩქნარებიდან უფ-  
რო ხშირია წყავი, შქერი, იელი, მოცვი, ბალახებიდან ჩვეულებრივია  
მთის ჩადუნა, ჩადუნა, შავი გვიმრა და სხვა. იშვიათად თუ სადმე შეგვ-  
ხვდა ნაძვნარი, ან სოკვნარი უნგერნისა და სმირნოვის შქე-  
რით, საკმაოდ ხშირია, განსაკუთრებით გადაბერებულ სოკვნარებში და  
ნაძვნარებში, ხავსიანი საფარი.

კავკასიური ფიჭვისაგან შექმნილი ფიჭვნარები საკმარისად მრ-  
ჯალფეროვანია (ფიჭვნარი ღვიით, ფიჭვნარი საკმელათი, იელით, ფო-

თოლმცევიანი ბუჩქნარით) მათში, ნაკლებად განათებულ ფერდობებზე. ფიქვნარი მოცვებით (წითელი მოცივი, ლურჯი მოცივი, მოცივი) და კენწერათი.

იშვიათი არ არის ფიქვნარები ბალახეული საფარით (ძიგვა, ცხვრის წივანა, მკაველა, ტყის თივაქასრა, ქასრა), ხშირია მლიერიანი და გვლერძიანი ფიქვნარებიც. 800—2200 მ სიმაღლეზე აღინიშნება ფიქვნაროვანი და ახალ მორენებზეც.

აღმოსავლეთ საქართველოში, რცხილნარების სარტყელში, კარგად განათებულ ფერდობებზე რცხილნარებს შეენაცვლის ქართული წიხნა, თრიალეთზე კი ხშირია, როდესაც აღმოსავლური მუხა შეინაცვლის რცხილას, კახეთის კავკასიონზე, თრიალეთზე და ცენტრალურ კავკასიონზეც ხშირია ქართული მუხისა და აღმოსავლური მუხის კონტაქტი.

### მთამალაღის მცენარეულობა

მთამალაღის მცენარეულობაში ერჩევა:

ა) სუბალპური ტყეები და ბუჩქნარები, რომლებშიც კარგადაა გამოყოფილი: აღმოსავლეთ მუხის დაჯგუფებანი (თრიალეთი, შუა და აღმოსავლეთ კავკასიონი, დასავლეთ კავკასიონზე აღსანიშნავია ენგურის ხეობის მუხნარები), მუხნარები, პონტოს მუხის მიერ შექმნილი დასავლეთ საქართველოში, არყნარები, რომელიც იქმნება თეთრი არყისა და მექეჭიანი არყის მიერ და გვხვდება თითქმის ყველგან მთამალაღში; კავკასიონის აღმოსავლეთ ნაწილში შავი არყის მიერ, სამეგრელოს და აფხაზეთის კირქვიან მთებში მეგრული არყისა და აქარაში შედგედვის არყის მიერ. ბოკვნარები შექმნილი მალაღმთის ბოკვისაგან. იქ, სადაც ტყე ხელოვნურადაა დაწეული ნაძვნარ-სოკნარები და ფიქვნარები იშვიათი არ არის. ზოგიერთგან, უმთავრესად აღმოსავლეთ კავკასიონზე გვხვდება მთამალაღის ტანბრეცილი წიფლნარი; ამ ქვესარტყლებში გავრცელებული წიფელი შეიძლება აღმოსავლური წიფლის რასას წარმოადგენდეს.

ბ) მთამალაღის ბუჩქნარებს ზონალურად სუბალპების ტყის შემდეგი სარტყელი უჭირავთ, ზოგან იგი ჩამოკრილია სუბალპების ტყის ზოლში და იშვიათად — მთების შუასარტყლის ტყეშიც. მთამალაღის ბუჩქნარებში გამოყოფილია რამოდენიმე მთავარი ჯგუფი, ესენია: დეკიანი, რომელიც უმთავრესად ვრცელდება ჩრდილოეთის და დასავლეთის ფერდობებზე; ღვიიანები—ტიპიურია სამხრეთის ფერდობებისათვის; მოცივიანები, რომელთა შექმნაში მონაწილეობს მოცივი, ლურ-

მოცივი, წითელი მოცივი, კეწერიანი, დრიადიანები. ეს უკანასკნელი ნახევარბუჩქები ხშირად გავრცელებულია უფრო მაღლა, ალპების მდელოებზეც.

გ) სუბალპების კოლხური მაღალი ბალახეულობა ტიპიურია კავკასიონის დასავლეთ ნაწილისათვის და აჭარა-იმერეთის ქედის ფერდობებისათვის, თუმცა არც თრიალეთზე და არც მთავარ კავკასიონზე იგი არც ისე იშვიათია. მაგრამ მათში ფრიად იშვიათია კოლხური ელემენტები. ეს ფორმაცია ფრიად საინტერესოა, როგორც თავისი აგებულებით, ისე წარმოშობით. განსაკუთრებით დასავლეთში იგი კოლხური ელემენტებითაა მდიდარი.

მის შექმნაში მონაწილეობას იღებს ფრიად მაღალი ბალახეული მცენარეები, რომელშიც ზოგან „ცხენიანი კაცი და რქოსანი ირემი იმალება“. აქ სხვაზე ხშირია: დუცი, დიყი, ჭყიმი, ტელეკია, მშვენიერი მზიურა, დიდფურცელა გვირილა, ბრძამი, კავკასური მილიუმე, სათითურა, ქართული შროშანი, კენკეშა, ალოშა და სხვა.

მთამაღალში ყველაზე ტიპიური და დამახასიათებელია მაღალჭაღლახიანი სუბალპური მდელოები, რომელთაც საკმაოდ დიდი ფართობი უჭირავთ; შვეულად იგი გავრცელებულია 2200 მ-დან 3000-მდე. ამ მდელოებში მრავალგვარი ფორმაცია ირჩევა, პირველ რიგში წივანიანი, რომელიც ცხვრის წივანასაგან არის შექმნილი, ჭრელწივანიანები, ძიგვიანები, ნაირმარცვლოვანნი შექმნილია უფხო შვრიელისაგან, ჭრელი შვრიელისაგან, მდელოს წივანასაგან. ჩრდილოეთისა და დასავლეთის ექსპოზიციის ფერდობებზე, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს მთებში, ხშირია ფართოფოთლოვანი ორლებნიანი მცენარეების ფორმაციები. მათ მიეკუთვნება ისეთი მდელოები, რომელნიც შექმნილია ერთის მხრივ, ფრინტასაგან და მთის ბარისპირისაგან, მეორეს მხრივ, შიშველფრო ნემსიწვერასა და რუპრეტის ნემსიწვერასაგან. ფართოფოთლოვანების ფორმაციებიდან ყველაზე უვარგისია ის მდელოები, რომლებიც შექმნილია ლამაზი ნიგვზიძირათი.

მთავარ კავკასიონზე პარკოსანი მცენარეების ფორმაციები ამ სარტყელში ღარიბადაა წარმოდგენილი. სამხრეთ კავკასიონზე კი უფრო ზხირია.

ალპურ სარტყელს შედარებით ვიწრო ზოლი უჭირავს; იგი სუბალპების მდელოებისა და თოვლის ხაზს შორისაა გაჭიმული, აქ ხშირია რსლიანები, რომელიც შექმნილია სამწვერა ისლით, წივანიანებით (ალპური წივანა), ძიგვიანებით (ძიგვა), ფესვმაგარიანებით, მარმუჭიანებით, რომელიც, ძირითადად მეორადი წარმოშობისაა; ალპური ხალებით,

რომელთა მწვანე მოლი დამშვენებულია პრავალნაირი ლამაზად მოყვავილე მცენარით.

წმინდა ალპურ ფორმაციათა შემდეგ მთის მწვერვალები დაფარულია მარადი თოვლით და ყინვარებით. ინტრაზონალური ფორმაციებიდან უნდა აღინიშნოს ნესტიანი მდელოები, ტყის შემდგომი მდელოები, ჭაობები და წყლის მცენარეულობა, ეს ორი უკანასკნელი უფრო ხშირია სამხრეთ საქართველოს პლატოებზე, ჯავახეთში (ტბის პირებზე და ნატბევრებში).

ი ნ ღ ი კ ა ტ ო რ ე ბ ი

კულტურული მცენარეთათვის ინდიკატორებად შეიძლება უკ-სახოთ, ძირითადად მცენარეთა დაჯგუფებანი (ასოციაციები, ასოცია-ციათა ჯგუფები), მაგრამ არა მცენარეთა ცალკეული სახეობანი. მაგა-ლითად, გარკვეული ასოციაციის რომელიმე მცენარე (ურო) თუ გვხვდე-ბა სხვა ზონის (სარტყლის) ასოციაციაში, ეს მხოლოდ შემთხვევი-თი მოვლენა იქნება, იგი რაიმე კონკრეტული მოვლენის, ბუნების პი-რობათა რაიმე ცვალებადობის მაჩვენებლად ვერ დაისახება და ამი-ტომ კულტურული მცენარეთათვის ვერც ინდიკატორად გამოდგება.

იმ შემთხვევაში, თუ ველის ცენოზის, რომელიმე გარკვეული დაჯ-გუფება გაჩნდა მეორე სარტყლის ცენოზში (უროიანი სამხრეთ მთიანეთში), ეს უკვე იმის მაჩვენებელია, რომ მაღალმთის დაჯგუფებათა გავრცელების არეში, ამ სარტყლისათვის ჩვეულ ბუნებრივ პირობებ-ში, რაღაც ცვლილება მომხდარა; თუ მთლიანი არა, ნაწილობრივ მაინც. ამ შემთხვევაში ამ მხარეს კბილი უნდა გაესინჯოს, როგორ იხარებენ აქ ის მცენარენი, ან ნაწილი მაინც ამ მცენარეებისა, რომელ-ნიც ხარობენ უროიანის დაჯგუფებათა გავრცელების ძირითად არე-ში.

კოლხური ტყის ცალკეული ელემენტები, მაგალითად, ჰართვი-სის მუხა, იმერული მუხა, ძელქვა, შეიძლება ხარობდნენ (აღამიანის დახმარებით) ჩვენი ველების რომელიმე კუთხეში, მაგრამ კოლხური ლიანიანი ტყე თავისი ძირითადი ელემენტებით ამ ველებში ვერც იხე-ირებს და არც შეგვხვდება.

მცენარე ზუსტად ასახავს თავისი საცხოვრისის ბუნებრივ პირო-ბებს, მიკრო-ელემენტებს (მარგანესს, მოლიბდენს, სტრონციუმს, ოქროს და სხვ.).

ცენოზის სტრუქტურის მიხედვით შეიძლება ვიქონიოთ წარმოდ-გენა იმ ნიადაგზე, სადაც ეს ცენოზი ხარობს.

ვაციწვერიანი ველი, რომელშიც კარბობს იოანის და ლესიხის ვაციწვერა, ხასიათდება შავმიწამინაგვარი ნიადაგებით ან ნაწილობრივ თხელშირიანი კარბონატიანი შავმიწა ნიადაგებით, იშვიათად, კარბონატიან წაბლა ნიადაგებით, ამ ნიადაგებისათვის დამახასიათებელია ჰუმუსის ჰორიზონტის შედარებით სუსტად გამოსახვა და ზედაპირთან ძლიერი კარბონატიანობა.

ძლიერ დაკორდებული ვაციწვერიანი ველი, რომელიც შექმნილია ვიწროფოთლება ვაციწვერისაგან, და რომელსაც ველის ნარბაღანებულობა ერევა, უმთავრესად გავრცელებულია მცირედად დამრეც ფერდობებზე გარეჯის უდაბნოში; „ეს თანასაზოგადოება ძალიან მკიდროდა დაკავშირებული თიხნარ ჩვეულებრივ შავმიწა ნიადაგებთან, რომელიც ხასიათდებოდა მორფოლოგიური ნიშნების მკვეთრად გამოსახული ჯამით: ჰუმუსიანი ჰორიზონტის დიდი სიღრმით, კარბონატიანი ჰორიზონტის სიღრმითაც და ჩონჩხის უქონლობით (კლოპოტოვსკი, 1930)“. „აბზინდიანი მლაშნარის ცენოზები გავრცელებულია ჩადაბლებულ რელიეფზე და ყოველთვის მიუთითებს ნიადაგის მარილიანობაზე“ (კლოპოტოვსკი, 1930, ტროიციკი, 1930). წმინდა აბზინდიანების ცენოზი გავრცელებულია ტიპურ წაბლა ბიციობზე. კარლანიანები და ჩარანიანები აღინიშნება ნესტიან მლაშნარზე. უროიანი მრავალნაირ ნიადაგზე გვხვდება, უფრო ხშირად კი წაბლა და შავმიწამინაგვარ ნიადაგებზე, მაგრამ ბიციობსა და მლაშნარზე იგი არ გვხვდება, მომლასო ნიადაგზე შეიძლება შეგვეხვდეს, მაგრამ იშვიათად.

ქართლური ზამბახი გვხვდება ნესტიან, ოდნავ დამლაშებულ ადგილსამყოფელზე. მაგრამ იგივე სახეობა ხშირად გვხვდება იმ ძეძვიანში, რომელიც ჩამოყალიბდა ჭალის ტყის გრძელყუნწა მუხის მოსილობის შემდეგ, მაგრამ არასდროს არა გვხვდება ქართული მუხის ნალაგევეზე.

ტიპური ცენოზებით ხასიათდება ჩვენი მთის სხვადასხვა ექსპოზიციის ფერდო (ჩრდილო ფერდობზე ტიპურია დეკა, სამხრეთისაზე — ღვია, ჩრდილო ფერდობზე — ფრინტას ცენოზი, სამხრეთისაზე — ცხვრის წივანასი და სხვ.).

კავკასიის მთებში გაზაფხული, სამხრეთის ფერდობებსა და საერთოდ მშვარე ადგილებში, ათი-თორმეტი დღით ადრე იწყება, ვიდრე ჩრდილო ფერდობებზე, მცენარეულობაც სხვადასხვანაირია (მშვარე ადგილებში კარბობს ვიწროფოთლიან მარცვლოვანთა ცენოზები, ჩრდილის ფერდობებზე კი ფართოფოთლიანი ორლებნიანებისა). გამოყოფ ხეობებში უბერავს ფიონის მაგვარი ქარები, რაც ჰაერსაც აშრობს და მთის ფერდობებსაც (ფიგუროვსკი, 1919). და ამიტომაც, რომ

რეთი ქსეროფიტები. როგორცაა: ზღარბა, რქიანი ესპარცეტი, კუტი ბალახი და მისთანანი კარგად გრძნობენ თავს დეკასა და ფრინტას შორიახლოს, სულ რამოდენიმე მეტრის დაშორებით. ძირითადი ქანები, რომლითაცაა აგებული კავკასიონის მთები, თავს იჩენენ მცენარეული საფართაყ. სამეგრელოსა და აფხაზეთის კირქვიანებზე დეკა იშვიათად გვხვდება, ვიდრე მათ მეზობელ სვანეთის მთებში, კირქვიანებზე დეკა შენაცვლილია წყავის თავისებური ფორმით, ეგრეთწოდებული მოკლემტევანა წყავით, დასაყლეთ კავკასიონზე ჩვეულებრივია თავისებური ენდემური ფლორა, სწორედ კირქვიანებისათვის დამახასიათებელი (საკვირველი მაჩიტა, ძაყუს მაჩიტა, კოლაკოვსკის მაჩიტა, ლამაზი ნიგვზისძირა).

იქ, სადაც მთის ქანებია გამოქარული და გამორეცხილი, ეს კანონზომიერება ირღვევა. მაგალითად, აფხაზეთის კირქვიანებზე ბევრგას დეკა არც თუ ისე იშვიათია. ცნობილია, რომ კირქვიანებზე წაბლი არ სახლდება, მაგრამ რაქვის მთებში, სწორედ კირქვიანებზე წაბლიც ხშირად ჩვეულებრივია, ზემოდასახელებულ მიზეზთა გამო.

მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ თვით მცენარეთა ბუნება, მისი ისტორიული განვითარება, ამის საუკეთესო მაგალითია იგივე დეკა. დეკიანებში ხშირად შეიძინევა 50—100 მეტრის სიგანის სრულიად ცარიელი ადგილები. საქმე იმაშია, რომ დიდი თოვლის დროს მთიდან წამოსული ზვავი დეკიანს თოვლის საფარს ხსნის და უთოვლო, ღია დეკიანი, მთის ყინვას ვერ უძლებს, იყინება და ძირ-ფესვიანად ხმება. დეკა დღეს წმინდა სუბალპური მცენარეა, მაგრამ თავისი წარმოშობით სუბტროპიკულ შქერებს უახლოვდება, პირველ რიგში კავკასიურებს (პონტურ შქერს, სმირნოვის შქერს, უნგერნის შქერს) და მთებში, თუ სახლდება ისეთ ადგილებში, სადაც თოვლით კარგად იფარება, თუ თოვლის საფარი გადაეხადა იგი ხმება.

როდესაც ვაზუსტებთ საკითხებს მცენარეთა ან ცენოზების ინდიკატორების შესახებ, რასაკვირველია მხედველობაში უნდა მივიღოთ ადამიანის უარყოფითი თუ დადებითი მოქმედება გარემოზე, ამის მაგალითია მთელი ჭაგეკლიანი ფორმაციის წარმოშობა ტყეების უკან დახევის შედეგად (ნათელი ტყე, ვაკის მუხნარი, მთის წინაკალთების მუხნარი და სხვ.), ამიტომ ჭაგეკლიანი ველი უნდა განვიხილოთ, როგორც ერთი მთლიანი, მთელ კომპლექსთან, ე .ი., როდესაც ამა თუ იმ ადგილზე ძეძვიანს გამოვიყენებთ ინდიკატორად, შეძლებისდაგვარად უნდა გავითვალისწინოთ ამ ნაკვეთის ისტორიაც, რომელი ფორმაციის შედეგად არის წარმოშობილი, კალის ტყის, ნათელი ტყის, ვაკის ტყის თუ მთის მუხნარის ხარჯზე.

ყოველივე ზემოთქმული საკითხების დაზუსტების შემდეგ საქართველო ინდიკატორების მიხედვით შეიძლება გაიყოს რამოდენიმე მსხვილ სარტყელად.

ა. ვაკის ტყეების, ველებისა და ნახევარუდაბნოთა სარტყელი (ზონა).

ეს სარტყელი შეიცავს ფორმაციათა დიდ ჯგუფს (ველი, მეორადი ველი, ნახევარუდაბნო ნათელი ტყე, ვაკის ტყე, ქალის ტყე, ჯაგეკლიანები).

ეს სარტყელი ემთხვევა მშრალი სუბტროპიკების, მევენახეობა-მელეინეობის, ნესვ-საზამთროსა და ვაკის ხვნა-თესვის სასოფლო-სამეურნეო სარტყელს.

ბ. ქართული მუხის, რცხილის, მთის წინაკალთების ჯაგეკლიანების სარტყელი (ზონა).

ესაა კონტინენტალური მეხილეობის, ხარისხოვანი და მამპანური მელეინეობის და ხვნა-თესვის სარტყელი.

გ. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მთის ტყეების სარტყელი (ზონა), რცხილნარები, წიფლმარები. წიწვიანი ტყეების ქვემო სარტყელი.

კონტინენტალური მეხილეობის, მევენახეობისა და ხვნა-თესვის სარტყელია.

დ. კოლხიდის ნესტიანი ტყეების სარტყელი (ზონა). ქაობი, ქაობიანი ტყე, ლიანიანი ტყე, მარადმწვანე ტყე, დაფნარები და სხვ.

ნესტიანი სუბტროპიკების კულტურების სარტყელია.

ე. მთამაღალის მცენარეულობის სარტყელი (ზონა), ნაქენარ-სოჭნარები, ზემო სარტყელის წიფლნარები, სუბალპების ტყე, ალპური მცენარეულობა.

ესაა ტყის მოვლის, მესაქონლეობის, ხვნა-თესვისა და მთის მეხილეობის სარტყელი.

ყოველი სარტყელი მსხვილი კომპლექსური ერთეულია, ყოველ სარტყელში შეიძლება გამოიყოს ქვესარტყელი, ქვესარტყელში კი რაიონი და მიკრორაიონი, ყოველი მათგანი ხასიათდება თავისებური მცენარეული საფარით და კულტურული მცენარეებით.

ასე მაგალითად, ველებისა და ნახევარუდაბნოების პირველ სარტყელში შეიძლება გამოიყოს შემდეგი ქვესარტყლები:

ა. ქალის ტყეების (ნესვ-საზამთრო).

ბ. არსებული ნათელი ტყეების (მშრალი სუბტროპიკულ მებაღეობა, შემავრებული ღვინოები).

გ. ნახევარუდაბნოების (ტექნიკური კულტურები, შშრალი სუბტროპიკული მებაღეობა, სუფრის მევენახეობა, ამჟამად შესაქონლეობა).

დ. ველების სარტყელი (ტექნიკური კულტურები, საქურნალო მცენარეები, შშრალი სუბტროპიკული მებაღეობა, კონტინენტური მეხილეობა, ხენა-თესვა, მესაქონლეობა).

ე. ძეძვიანი ქვესარტყელი (კონტინენტალური მეხილეობა, მევენახეობა ევროპული ღვინოებისა, ხენა-თესვის).

ვ. მუხნარები ვაკისა და მთების წინა კალთების ქვესარტყელი (ევროპული მეღვინეობის მევენახეობა, შამპანური ღვინოების მევენახეობა, მსუბუქი სუფრის მეღვინეობა, კონტინენტალური მეხილეობა, ხენა-თესვა).

როგორც აღვნიშნეთ. ქვესარტყელი შეიძლება დანაწილდეს რაიონებად და მიკრორაიონებად. ასე მაგალითად, ჭაგეკლიანის ქვესარტყელში შეიძლება გამოიყოს წვრილფოთლება იორდასალმის მიკრორაიონი.

ასეთ მიკრორაიონებად შეიძლება დაისახოს ის ძეძვიანები, რომელნიც მუხნარ-ტირიფონის ვაკეს მიმდგარ ფერდობებზეა (წილკანი, გაზისუბანი, ოძისი, იგოეთი, ქვემოქალა, ხურვალეთი, კირბალი, მეჭვირისხევი, ფლავისმანი). ამ მიკრორაიონების ვენახების მოსავლიდან დგება წმინდა, ბროლივით ბრწყინავი, ნაპერწყლიანი, ბუკეტით მდიდარი სუფრის ღვინო.

ის ვენახები კი, რომელიც გაშენებულია კავკასიურ იორდასალმის გავრცელების არეში, იძლევიან ან სანიადაგო ღვინოს, ან ღვინის მასალას შამპანური ღვინოებისათვის.

ჭაგეკლიანებში გაშენებული ვენახები, რომელშიც კარბობს ურო და ავშანი, იძლევა ღვინის მასალას შემაგრებული ღვინოებისათვის.

ამგვარად, არა მარტო თვით ჭაგეკლიანის სარტყელია (ფორმაციათა ჭგუფი) ინდიკატორი მევენახეობისა, არამედ ასოციაციაც, ცალკე ჭგუფები, მიკრორაიონები ამ ქვესარტყლისა (ფორმაციათა ჭგუფი) შეიძლება იყვნენ მანიშნებელნი თვით მეღვინეობის ტიპების მიმართულებისა.

ნათელი ტყეების ფორმაციათა ჭგუფების გავრცელების არე (საკმლის ხე, აკაკი, მრავალნაყოფა ღვია, მყრალი ღვია, მოწითალო ღვია. ტირიფფოთოლა ბერყუნა, ბროწეული, ლეღვი, ქართული თელა, ქართული ნეკერჩხალი; და აგრეთვე გაველურებული ბროწეული, ვაზი, ნუში, ქერამი და სხვ.) მიუთითებს შშრალი სუბტროპიკული კულტურებისაკენ.

ამ ჯგუფშიც ისახება მიკრორაიონები, მაგალითად: 1. საკმლის ხე, ხვალო, ფშატი და ქაყვი მაჩვენებელია ტექნიკური კულტურებისათვის. სამკურნალო მცენარეებისათვის.

2. საკმლის ხე, შავჯაგა, ძეძვი, უძრახელა ნიშანია საუკეთესო ტაპირი მშრალი სუბტროპიკული მეხილეობისათვის (ფსტა, ნუში. გარგარი. ყაისი, ლეღვი, ბროწეული, უნაბი, ატამი).

#### ა. ვ ე ლ ი ს ა, ნ ა ხ ე ვ ა რ უ დ ა ბ ნ ო თ ა, ჭ ა ლ ი ს ა და ხ ა - თ ე ლ ტ ყ ე ე ბ ი ს ს ა რ ტ ყ ე ლ ი

აღმოსავლეთ საქართველოში ეს სარტყელი 200 მ და 800 მეტრს შორის მდებარეობს. როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ საქართველოს ველები, ძირითადად, მეორადი წარმოშობისაა, მისი აღმოსავლეთი ნაწილი დღეს მოსახლეობას მოკლებულია, მაშინ, როდესაც XIV—XVI საუკუნემდე აქ ჰყვავდა ქალაქები და სოფლები, მაგრამ აი უკვე 500-600 წელია კერაზე ცეცხლი აღარ დანთებულა.

ამ მხრისათვის დამახასიათებელია ის, რომ ველის ფორმაციები ფრიად მოძრავნი არიან, როგორც სივრცეში, ისე დროის მანძილზე. ზოგი ფორმაცია სწრაფად აღიდებს თავის არეალს (უროიანი), მეორენაირელებიან შინაგანათ თავისი სტრუქტურით (ვაციწვერიანი, ავშნიანი).

ველის ფორმაციების ისტორია და გენეზისი მიგვითითებს, რომ ისინი შედგენი არიან უფრო მეზოფილური ფორმაციების დეგრადაციისა. შესაფერ პირობებში ძველი ტიპის ალდგენის ტენდენციასაც ამჟღავნებენ, ამ მომენტის გათვალისწინებისას, კულტურულ მცენარეთა ამ მხარეში შეტანის დროს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ქვემოთ მოგვყავს სხვადასხვა კულტურული მცენარეთათვის ინდიკატორების ჯგუფები.

#### I. ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი კ უ ლ ტ უ რ ე ბ ი, მ შ რ ა ლ ი ს უ ბ ტ რ ო - პ ი კ ე ბ ი ს მ ე ხ ი ლ ე ო ბ ა, შ ე ნ ა გ რ ე ბ უ ლ ი ღ ვ ი ნ ო ე ბ ი ს მ ე ვ ე ნ ა ხ ე ო ბ ა

1. ჩარანი, ყარლანი, მეიერის ავშანი.
2. შორაქანი, მეიერის ავშანი, ძირტკბილა.
3. ყარლანი. წითელწვერა, ხვარხვარა.
4. შორაქანი, ვერცხლა მათიტელა, ძირტკბილა.

#### II. ხ ვ ნ ა - თ ე ს ვ ა, ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი კ უ ლ ტ უ რ ე ბ ი, მ ე ვ ე ნ ა ხ ე ო ბ ა

1. ურო, ველის წივანა, ქაფუნა.

2. იოანის ვაციწვერა, ვიწროფოთლება ვაციწვერა, ქაფუნა, მახათა მიხაკი.

3. ვიწროფოთლება ვაციწვერა, კობრჩხილა, ჩხვლეტია ჭინქარა, ტუბერიანი ჭინქარა.

4. ურო, წვრილი კენწეწურა, ველის ტიმოთელა, კუტი ბალახი.

5. ურო, ბანჯგვლიანი ვაციწვერა, კუტი ბალახი, კახური ესპარ-ცეტი.

6. ურო, ველის წივანა, კავკასიური იონჯა, თბილისური ურცი.

III. მშრალი სუბტროპიკების მეხილეობა,

სუფრის ყურძნისა და შემაგრებული  
ღვინოების მევენახეობა, ნესე-საზამთრო

1. საკმლის ხე, ძეძვი, ყასმინი.

2. საკმლის ხე, შავჯაგა, უძრახელა, ურო.

3. საკმლის ხე, შავჯაგა, ყასმინი, ყარლანი.

4. საკმლის ხე, ქართული კოწახური, თრიმლი, შვრიელას მაგვარი არისტელა.

5. საკმლის ხე, ბროწეული, მოწითალო ღვია, ქართული კოწახური.

6. აკაკი, ქართული ნეკერჩხალი, ბროწეული, შავჯაგა.

7. აკაკი, მოწითალო ღვია, მყრალი ღვია, ჯორის ძუა.

8. ქართული ნეკერჩხალი, ჭალას თელა, გრძელყუნწა მუხა, ქართული კოწახური.

9. მოწითალო ღვია, მყრალი ღვია, მრავალნაყოფიანი ღვია, ძეძვი, ეკლიანი ხორციფერა.

10. ხვალო (ჰიბრიდული ვერხვი), სამხრეთული ტირიფი, ქაცვი.

11. ხვალო, სუბერიანი თელა, გრძელყუნწა მუხა, ქართული კოწახური.

12. გრძელყუნწა მუხა, საკმლის ხე, ულღუნი, კავკასიური შაჯალვერი.

IV. მევენახეობა და სუფრის მეღვინეობა,  
ნესე-საზამთროს თესვა-მოყვანა, მშრალი  
სუბტროპიკების მეხილეობა

1. ხვალო, ლაფანი, პასტუხოვის სურო.

2. ხვალო, ქაცვი, ღვედკეცი, კრიკინა.

3. ხვალო, ოფი, მურყანი, ეკალ-ღიჭი, ღვედკეცი.

4. ოფი, სამხრეთული ტირიფი, ქაცვი, კატაბარდა, ეკალ-ღიჭი.

5. ხვალო, კაკალი, თუთა, ეკალ-ღიჭი, ჩვეულებრივი სურო.

6. გრძელყუნწა მუხა, კავკასიური რცხილა. ბა, ზღმარტლი, ღვედ-  
კეცა.

7. გრძელყუნწა მუხა, სუბერიანი თელა, შეფოთლილი თელა.  
ეკალ-ლიკი, კრიკინა.

8. გრძელყუნწა მუხა, შეფოთლილი თელა, ქართული კოწახურა.

9. სუბერიანი თელა, მაქალო, იფნი, ეკალ-ლიკი, ღვედკეცი.

ბ. ქართული მუხის, რცხილის, ჯაგრცხილისა  
და ძეძვიანის სარტყელი მთის წინა კალთებზე

ეს სარტყელი დამახასიათებელი და ტიპურია აღმოსავლეთ საქა-  
რთველსათვის. სარტყელი იწყება უშუალოდ ვაკეთა ველების  
პირიდან, ზოგან 900—1000 მ სიმაღლიდან, უფრო ჩვეულებრივად ქ  
600—700 მ-დან, ეს სარტყელი შედგება, ძირითადად, შემდეგი ფორ-  
მაციების ჯგუფებისაგან: ჯაგეკლიანებისაგან (ძეძვიანები) და სხვა-  
დასხვა დეგრადაციის საფეხურებზე მყოფი მუხნარისაგან და ნაწი-  
ლობრივ რცხილნარისაგან.

იგი ზომიერი კლიმატის სარტყელშია (ნალექი 500—600 მმ, სა-  
შუალო წლიური ტემპერატურა 11—12°. იშვიათად, მაგრამ მაინც ხდე-  
ბა, რომ ტემპერატურა ეცემა მინუს 20°-მდე). გაბატონებულია: ალუ-  
ვიალური, წაბლა, ნაცრისფერი წაბლა, ნაცრისფერ-ყავისფერი, ტყის  
ყავისფერი ნიადაგები.

ზშირად კლიმატისა თუ ნიადაგის ტერმინოლოგია ზუსტად ვერ გა-  
მოსახავს ამა თუ იმ მხარის ნამდვილ რაობას, შინაარსს. ზშირად, რო-  
გორც უკვე იყო ნათქვამი, ბუნებრივი პირობების, ზოგჯერ თვალისა-  
თვის შეუმჩნევი მრავალფეროვნება დაღს ასვამს მოსავლის პროდუქ-  
ციას. მაგალითად, საერთოდ ცნობილია, რომ ვენახები ერთსა და იმა-  
ვე სიმაღლეზე გაშენებული, მაგრამ ერთი მზვარზე და მეორე ჩრდი-  
ლის ფერდოზე, სხვადასხვა ხარისხის ღვინოს იძლევა. კიდევ მეტი, ერ-  
თი და იმავე სოფლის ვენახი, მზვარზე გაშენებული ერთნაირი ჯიშის  
ვაზით სხვადასხვა ხარისხის პროდუქტებს იძლევიან. ამის მრავალი მა-  
გალითის მოტანა შეიძლება. „მუხნარული ღვინო“ — ვაზის უბნიდან,  
ან ოძისიდან ცქრიალა, მსუბუქი. შესანიშნავი ბუკეტიან ფრანგული  
!უფრის ღვინის ტიპია, თვით მუხნარიდან კი დგება ქართლური სანი-  
დაგო ღვინო ან „ატენური“—ატენიდან, გარდატენიდან, ხიდისთავიდან.  
ატენის ვენახები იძლევიან ცქრიალა, ბუნებრივად შუშუნა ღვინოებს,  
ხიდისთავიდან კი მსუბუქ სუფრის ღვინოებს. თუმცა ჯიში ვაზისა ერთი  
და იგივეა (ჩინური, გორული), სოფელი ფლავი და ფლავისმანი ურ-  
ციერათისაგან 1 კილომეტრითაა დაცილებული, ფლავისმანური თეთრი  
ღვინო ბროლივით ცქრიალა და გამკვირვალეა, სურნელოვანი, შესა-

ნიშნავი ბუკეტით, იგივე ჭიშები ფლავის ენახებიდან იძლევიან სანიადაგო, ჩვეულებრივ ქართულ ღვინოებს.

დაკვირვებებმა დაადასტურეს, რომ იქ, სადაც ველისა თუ ჭაგ-გელიანების სხვა ელემენტებთან ერთად იზრდება წვრილფოთოლა იორდასალაში და ქართლური იორდასალაში, მიიღება მალალხარისხოვანი სუფრის ღვინოები. წილკანი-ოძისი-ვახის უბანი-ხურვალეთი-კირბალი-ფლავისმანის ხაზზე (ე. ი. გვერდის ძირი) სწორედ ეს მცენარე იზრდება.

### 1. მევენახეობა სუფრის ღვინოებისათვის. მეხილეობა

1. ძეძვი, შავჯაგა, ურო, ველის წიკანა.
2. ძეძვი, ქართული ნუში, ვრაკლა, მჩხვლეტაეი ჭინკარა, ურო.
3. ძეძვი, შავჯაგა, ვიწროფოთლეა იორდასალაში.
4. ძეძვი, კვრინჩხი, ტუბერიანი ჭინკარა, ტრანსილვანური ძელიკა, სატატური.
5. ბერყენა, კვრინჩხი, ძეძვი, ურო, წვრილი კოწახურა.
6. ქართული მუხა, შეფოთლილი თელა, ჭაგრცხილა, ძეძვი.
7. ქართული მუხა, ჭაგრცხილა, იფნი, წვრილფოთოლა იორდასალაში.
8. ქართული მუხა, ჭაგრცხილა, იფნი, კავკასიური იორდასალაში, პაკოს იორდასალაში.

### დასავლეთ საქართველოს ტენიანი ტყეების სარტყალი

დასავლეთ საქართველოს ტენიან ტყეებს უკირავთ კოლხეთის დაბლობისა და ვაკის ფართობი, ზღვის პირიდან მოყოლებული, ვიდრე 450—500 მ სიმაღლემდე.

ეს სარტყელი კიდევ იყოფა რამოდენიმე ქვესარტყელად, რომელთა შორის მკვეთრად გამოირჩევა სამი ქვესარტყელი, სახელდობრ: ა) ნახ სუბტროპიკულ მცენარეთა ქვესარტყელი (ლიმონი, ფორთოხალი) 0—125 მ სიმაღლემდე.

ბ) გარდაჭავალ სუბტროპიკულ მცენარეთა ქვესარტყელი (მანდარინი) 125 მ-დან 250 მ-მდე.

გ) ყინვის გამძლე სუბტროპიკულ მცენარეთა (ჩაი) ქვესარტყელი 200-დან 450 მ-მდე.

თუ პირველ ქვესარტყელში იზრდება ლიმონი, ფორთოხალი, მანდარინი, ჩაი და სხვა, მეორეში უკვე ძირითადი კულტურებიდან რჩება მანდარინი და ჩაი. ისიც მანდარინი მხოლოდ ხეობებს მოფარებულ

მუდრო „ჩიბებში“, მესამე ქვესარტყელში სუბტროპიკული მცენარე-  
ებიდან რჩება ჩაი, ისე ეს რაიონი უფრო მევენახეობის, კონტინენტური  
მცხოლოებისა და ზამთრის მებოსტნეობის ქვესარტყელია.

ზოგიერთი სპეციალისტი კოლხეთის კლიმატს სუბტროპიკულად  
თვლის. ამის საბუთს მათ კლიმატის მრავალი ელემენტი აძლევს. ნალე-  
ქები ზღვის სანაპიროზე (ბათუმი) 2500 მმ-ია, რომელიც ჩრდილოეთი-  
საყენ მცირდება და ფოთში 1700 მმ-ია, სოხუმში — 1400 მმ. მცირდება  
დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენაც, ქუთაისში — 1100 მმ, ზესტა-  
ფონში 1000 მმ-ია. საშუალო წლიური ტემპერატურა 14<sup>0</sup>-ია, მაგრამ  
ჩრდილოეთისაყენ და აღმოსავლეთისაყენ თანდათან მცირდება. ნალექ-  
თა უმეტესობა შემოდგომა-ზამთარში მოდის, უმცირესი — ზაფხულში.  
გვალვა ჩვეულებრივი ამბავია და მრავალ ადგილას ჩაის პლანტაციებ-  
ორწყვის (ხელოვნური დაწვივებით), ყინვიანი დღეები სოხუმში და ბა-  
თუმში 14 დღეა, ქუთაისში — 26, მაგრამ ზოგიერთ წელიწადში ყინ-  
ვიანი დღე მეტია, ასე მაგალითად, 1911 წელს ბათუმში ყინვიანი  
დღე იყო 40, სოხუმში — 43, ტემპერატურა ზოგჯერ ეცემა მინუს  
10—12<sup>0</sup>, ლიმონისათვის კრიტიკული ტემპერატურა 8<sup>0</sup>, ფორთოხალი-  
სათვის — მინუს 10—11<sup>0</sup>, მანდარინისათვის — მინუს 12<sup>0</sup>. კოლხეთი  
სუბტროპიკების ყველაზე ჩრდილოეთი მხარეა, მართალია ლიმონი  
ჩვენში შუასაუკუნეებშიც იზრდებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მა-  
ინც უნდა ითქვას, რომ კოლხეთი პირობითი სუბტროპიკებია. ამ კულ-  
ტურებისათვის შესაფერისი პირობები ძირითადად თვით ადამიანის  
მიერ იკმნება (ქარსაფარები, მცენარეთა დათბუნება და სხვ.).

კოლხეთის ნიადაგებია: ალუვიალური, ეწერები, წითელი მიწები,  
ყვითელი მიწები, ტყის ყავისფერი ნიადაგები და სხვა.

მცენარეულობა ამ სარტყელში ერთმანეთს შემდეგნაირად ენაცე-  
ლება.

- ა. ზღვისპირის ქვიშიანების მცენარეულობა.
  - ბ. ქაობის ბალახეული მცენარეულობა.
  - გ. ქაობიანი ტყეები.
  - დ. ლიანიანი ტყე.
  - ე. ვაკეთა კირქვიანების მცენარეულობა.
  - ვ. კოლხეთის მუხნარ-რცხილნარები.
  - ზ. ფართეფოთლოვანი ტყე მარადმწვანე ქვეტყით.
- ამ სარტყლის ინდიკატორებად შეიძლება ჩაითვალოს:

I. ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი მ ე მ ც ე ნ ა რ ე ო ბ ა და დ ე კ ო რ ა ც ი უ ლ ი  
მ ე ბ ა დ ე ო ბ ა

(პირველი ორი ქვესარტყელი ზღვისპირის ქვიშიანები და ქაობები  
ამოშრობის პირველ წლებში).

1. ეუქსინის ქოთანა, ზღვის ლურჯი ეკალი, ზღვის შროშანი.
2. ზღვის კალია, ზღვისპირის რძიანი, ზღვის შროშანი.

II. სუბტროპიკული მებოსტნეობა, ტექნიკური კულტურები, მევენახეობა (კაობიანი და ლიანიანი ტყეები)

1. პონტური ტუხტი, მედედევის რამფიკარპა, კოლხური ეშმაკის თხილი, ქოლგიანი ჩალამყავილა.
2. ბანჯგვლიანნაყოფა ისლი, ქოლგიანი ჩალამყავილა, კოლხური ეშმაკის თხილი.
3. ბანჯგვლიანნაყოფა ისლი, ყვითელი ზამბახი, წყლის სამყუიელი.
4. მურყანი, ლაფანი, იელი, ყვითელი ზამბახი.

III. ტექნიკური ხე-მცენარეები, სუბტროპიკული ხილეული, ჩაი (ლიანიანი ტყე, კოლხური ტყე)

1. მურყანი, რცხილა, ლედეკეცი, კოლხური სურო.
2. იფანი, რცხილა, ჩვეულებრივი სურო, კოლხური სურო, იელი.
3. დაფნა, ბროწეული, ბაძგი, თავისარა.
4. ბროწეული, ჩიტავაშლა, ზღმარტლი, ბაძგი.
5. ქართული მუხა, ჯაგრცხილა, წყავი, ავაგისარა.
6. ქართული მუხა, ბროწეული, წყავი, ბაძგი.

IV. სუბტროპიკული მენილეობა

1. ჰართვისის მუხა, იმერული მუხა, ძელქვა.
2. იმერული მუხა, რცხილა, წყავი, შქერი.
3. რცხილა, იფნი, კავკასიური ცაცხვი, კავკასიური მოცივი, შქერი.
4. რცხილა, ჰართვისის მუხა, წიფელი, შქერი, წყავი, ბაძგი.

მთიანის შუასაბრტყლის ტყეები

ამ სარტყელში შეიძლება გამოიყოს მსხვილი ჯგუფი:

- ა. რცხილნარები.
- ბ. დასავლეთ საქართველოს წიფლნარები.
- გ. აღმოსავლეთ საქართველოს წიფლნარები.
- დ. წიწვიანი ტყეები.

დასავლეთ საქართველოს წიფლნარები აღმოსავლეთისაგან განსხვავდება გარეგნული იერით, წიფლნარები დასავლეთ საქართველოში უფრო ტენიანია, მდიდარია მარადმწვანე ქვეტყით და გვიმრებით,

ვერტიკალურად მეტი სიგანით და იმით, რომ წიფლნარები აქ ვაკე-ზეც ჩამოდის (პალიასტომი, მახინჯაური). აღმოსავლეთ საქართველოში წიფლნარების სარტყელი უფრო ვიწროა, ქსეროფიტული იერი დაჰკრავს, პრაქტიკულად მარადმწვანე ქვეტყიანი ტიპები არ გვაქვს. თუ არის სადმე მცირე ნაკვეთებითაა ჩაწინწყლული (საგურამო, საბადულავეის ქედი, გომბორის ქედი).

ამგვარად, შეიძლება გამოიყოს ქვესარტყელები:

ა. რცხილნარ-მუხნარი.

ბ. რცხილნარი.

გ. წიფლნარი დასავლეთ საქართველოში.

დ. წიფლნარი აღმოსავლეთ საქართველოში.

ე. წიწვიანი ტყეები, რომელიც მრავალ ადგილას შენაცვლის წიფლნარ ტყეებს.

მთების შუა სარტყლის ტყე ფრიალ მდიდარია ველური ხილეულით (პანტა, მაქალო, ტყემალი, ბალამწარა, შოთხვი, ზღმარტლი, კავკასური მოცვი, ყოლო და სხვა).

მრავალი ჩენი ხილეული წარმოშობილია ამ სარტყელში. ამავე სარტყელში გვაქვს ხორბლეულთა მრავალი სახეობა და საერთოდ მდიდარი ასორტიმენტი, რომელიც აქაა წარმოშობილი, ამიტომ ბუნებრივია, რომ ეს სარტყელი სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით ისახება როგორც სარტყელი მეხილეობისა და ხენა-თესვისა, ადგილ-ადგილ თავისებური უნიკალური მევენახეობით (რაქა-ლეჩხუმის სოფლები, ხვანჭკარა, ტვიში).

I. შამპანური ტიპის მეღვინეობა, კონტინენტალური მეხილეობა

1. ქართული მუხა, რცხილა, შინდი.

2. ქართული მუხა, რცხილა, წიფელი.

II. ბუნებრივად ტკბილი ღვინოები (ხვანჭკარა, ტვიში), მეხილეობა

1. რცხილა, ჯაგრცხილა, წიფელი, წაბლი.

2. კავკასიური ცაცხვი, წაბლი, ქართული მუხა, ჯაგრცხილა.

3. წაბლი, ჯაგრცხილა, ცაცხვი, თამელი.

III. მთის ხენა-თესვა, მეხილეობა

1. წიფელი, თელადუმა, კავკასური ცაცხვი.

2. წიფელი, პანტა, მაქალო, ცირცელი.

3. წიფელი, აღმოსავლური მუხა, ცირცელი.

4. წიფელი, სოკი, ნაძვი.

5. ნაძვი, სოკი, ცირცელი, არყი.

IV. შამპანური ტიპის მელვინეობა, მესილეობა

1. კავკასიური ფიჭვი, ქართული მუხა. ჯაგრცხილა, რცხილა.

2. კავკასიური ფიჭვი, კახკური ღვია, ჯაგრცხილა.

V. მესხეთის მევენახეობისა და მესილეობის  
სარტყელი

1. ქართული მუხა, კლდის ანაგვირილა, მშვენიერი ბელევალა, მესხური ფოლიო.

2. ქართული მუხა, ჯაგრცხილა, კოზლოვსკის გვლურძა, მშვენიერი ბელევალია.

3. ძეძვი, ჯაგრცხილა, თიხნარის გვლურძა, მესხეთის ესპარცეტი.

სამხრეთ მთიანეთის ველეების სარ-  
ტყელი

მთის ველები ჩვენში სამხრეთ მთიანეთშია გავრცელებული, მათ  
ამ მთიანეთის ფართზე პლატოები უჭირავს 1400 მეტრიდან ვიდრე  
2000 მ სიმაღლემდე.

ეს ველებიც მეორადია, ძირითადად მთის ტყეების ხარჯზე წარ-  
მოშობილი (წიფლნარი, ნაძვნარ-სოჭნარი, ფიჭვნარი, არყნარი, მუხნა-  
რი აღმოსავლეთ მუხისაგან და სხვა).

ნიადაგი ძირითადად დეგრადირებული შევმიწამინაგვარი ნიადაგია.  
კლიმატი ზომიერად ცივია, საშუალო წლიური ტემპერატურა 6—7<sup>0</sup>,  
ყველაზე თბილი თვის საშუალო ტემპერატურა 17<sup>0</sup>-ია, ყველაზე ცი-  
ვის — მინუს 8<sup>0</sup>, ნალექი საშუალოდ 650 მმ. ჯავახეთში გვალვიანი 4—5  
თვეა, წალკაში — 3—4.

ამჟამად ყველაზე გავრცელებული ტიპია ვაციწვერიანი (წვრილ-  
ფოთლება ვაციწვერა), წივნიანი და ნაირმარცვლოვანი.

ბუნებრივი პირობები ახლოა იმასთან, რომ სათანადო დაცვის შე-  
დეგად აქ შეიძლება ტყე აღსდგეს და მათთან ერთად ტყის ველური ხი-  
ლიც.

I. ხვნა-თესვის ქვესარტყელი

1. წვრილფოთლო ვაციწვერა, ველის წივანა, თრიალეთის იონჯა.  
ამიერკავკასიის ესპარცეტი.

2. ველის ტიმოთელა, ქრელი შვრიელა, ჯავახური იონჯა.

3. ველის წივანა, დაბალი ისლი, კავკასური კეწეწურა, თრიალეთის იონჯა.
4. წვრილფოთოლა ვაციწვერა, კავკასური კეწეწურა, თრიალეთის იონჯა.

## II. მთის მეხილეობა

1. კეცხოველის ფამფარულა, სოსნოვსკის ფამფარულა, გართხმული ღვია.
2. კავკასური ფიჭვი, გართხმული ღვია, პანტა, მაჯალო.

### ბ. მთამაღალის სარტყელი

მთამაღალის სარტყელში გაერთიანებულია ალპების ყველა ფორმაცია, სახელდობრ:

- ა. სუბალპების ტყეები 1900—2300 მ-მდე ზღვის დონიდან.
- ბ. მაღალმთის ბუჩქნარი, მაღალი ბალახეულობა. სუბალპების მაღალბალახიანი მდელოები 2000 მ-დან, ვიდრე 2700 მ-მდე.
- გ. ალპური მდელო და ხალები და სხვა.

ამ სარტყელში კლიმატი ცივია, ყველაზე თბილი თვის საშუალო ტემპერატურა მერყეობს 8-დან 10-მდე. წელიწადში 3 თვეა 10° მეტი ტემპერატურით, დასავლეთ კავკასიონზე საშუალო წლიური დანალექი 2124 მმ-ია (ქლუხხორის ზეკარი), ცენტრალურ ნაწილებში — 1477 მმ (გუდაური), აღმოსავლეთში — 548 მმ (გუნიბი).

კავკასიონის დასავლეთ ნაწილში და აპარა-იმერეთის ქედზე გაბატონებულია უფრო მეზოფილური ფორმაციები, რომელიც ხშირად შექმნილია ფართოფოთლოვანი ორლებნიანებისაგან. კავკასიონის აღმოსავლეთ ნაწილში და თრიალეთზე კი ხშირია ვიწროფოთლიანი მარცვლოვანები და შესაფერ ექსპოზიციებზე ფართოფოთლოვანმარცვლოვანები (მდელოს წივანა, კრელი შერიელა, კრელი წივანა და მათმაგვარი). აღმოსავლეთში სუბალპური ტყეები შედარებით ქსეროფიტულნი არიან, განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიონზე (აღმოსავლური მუხის ტყეები).

### I. მთამაღალის ხვნა-თესვა, მეზღვობა, ტყის გაშენება და ბალახის თესვა

1. თეთრი არყი, მთის ბოყვი, ცირცელი.
2. შავი არყი, მთის ბოყვი, დეკა.
3. თეთრი არყი, მთის ბოყვი, დეკა.
4. მეჭეჭიანი არყი, ცირცელი, დეკა, მაჯაღვერი.
5. აღმოსავლეთის მუხა, მთის ბოყვი, ცხრატყავა ქართული.
6. კავკასური ფიჭვი, გართხმული ღვია, ქართული ცხრატყავა.

## II. ბალახთესვისა და მეტყევეობის ქვესართყელი

1. დეკა, მაჯალვერი, ლურჯი მოცვი.
2. ცხვრის წივანა, უფხოშვრიელა, წითელი მოცვი.
3. წყალიკრეფია, ალოშა (დიდფოთლება მაჩიტა), სოსნოვსკის დიყი.
4. დეკა, ცირცელი, შავი არყი.

## III. სუბალპების მდელოების გაუმჯობესების სართყელი

1. კრელი შვრიელა, ცხვრის წივანა, ყვითელთავა, ქალარა სამ-ყურა, სამკბილა მაჩიტა.
2. კრელი წივანა, ბარისპირა დავალურა.
3. ლამაზი ნიგვზიძირა, განიერფურცელა ნემსიწვერა, ძდელოს წივანა.
4. ძიგვა, მაღალი ცახცახა, მხოხავი სამყურა.
5. ბრტყელფოთოლა ნამიკრეფია, კრელი შვრიელა, შვედური სამყურა.
6. დაბალი წივანა, წითელი მოცვი, ალპური შვრიელა, ქარცხვი. ინდიკატორთა გამრავლება კიდევ შეიძლება, მაგრამ ვფიქრობ ამ ზონისათვის იგი დიდ დაზუსტებას არ მოითხოვს.

## მცენარეთა მოუინაურება

კულტურულ მცენარეთა საზღვრების დასადგენად საკმარისი არ არის იცოდეთ მცენარის თანამედროვე საზღვრები. ჩვენს დროში შესაძლებელია რომელიმე მცენარე, განსაზღვრული რაიონისათვის წარსულში ძირითადი, რაიმე ისტორიულ თუ ეკონომიურ და ზოგჯერ ბუნებრივ პირობათა გამო, დღეს აღარც კი იყვეს.

ხორბლეულიდან საქართველოში მეცხრამეტე საუკუნიდან უკვე არ გვხვდება ნამდვილი ასლი, მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებიდან ჩელტა-ზანდური და მახა.

მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისიდან ღომი და ფეტვი, განსაკუთრებით ჭადი (ჭადის-ჭადი), ფრიად და ფრიად შეავიწროვა სიმინდმა, ეს უკანასკნელი კი მეოცე საუკუნის დასაწყისიდან და განსაკუთრებით ამ საუკუნის ოცდაათიან-ორმოციანი წლებიდან ჩაიმ და სხვა სუბტროპიკულმა მცენარეებმა (მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი, ტუნგო).

ჩვენი ისტორიის ავბედობის გამო სამხრეთ საქართველოში კარგად განვითარებული მევენახეობა შოისპო; შეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისიდან ეს მხარე ოსმალებმა დაიპყრეს და მაჰმადიანთა სარწმუნოების შესაბამისად მევენახეობა და მელვინეობაც თანდათან მოსპო, სამაგიეროდ გაძლიერდა მებალეობა, მეთუთეობა. ამ უკანასკნელის ნაყოფიდან ამზადებდნენ ბაქმაზებს და შარბათებს. მეოცე საუკუნის დასაწყისიდან უკვე მევენახეობამ კვლავ დაიწყო აღორძინება, რელიგია უკვე ამ ხანებისათვის, განსაკუთრებით ოცდაათიან წლებიდან, ხელშემშლელი ფაქტორი აღარ იყო.

ხშირია შემთხვევები, როდესაც კულტურული მცენარის სამშობლოში ესა თუ ის მცენარე აღარ არის, მაგრამ მას შეიძლება დიდი ფართობი ეკიროს მეზობელ მხარეში ან თუნდაც სხვა ქვეყანაში. ვაზის ერთ-ერთი სამშობლო ქალის ტყეებია, ალაზნისა და რიონისა, მაგ-

რამ მაღალხარისხოვანი მეღვინეობის რაიონები მდებარეობენ მუხნარებისა და რცხილნარების ზონაში. სწორედ ამისათვის საჭიროა კარგად შევისწავლოთ მხარის წარსული სოფლის მეურნეობა და კულტურული მცენარენი. შესაძლებელია, ახალმა ეკონომიკამ მოითხოვოს მისი აღდგენა. ასე მაგალითად, ამჟამად საჭიროა მაგარი ღვინოები და ამრავლებენ შესაფერ კიშებს. ხვალინდელმა დღემ კი მოითხოვოს ახალი ტიპის ღვინო. სწორედ ამიტომაც საჭირო ჩვენი ვაზის ყველა ჯიშის შენახვა.

შევისწავლით რა კულტურული მცენარის პირველადი, სამშობლოს ეკოლოგიას, ხელს შეგვიწყობს ახალ რაიონში გამოენახოთ სასურველი მცენარისათვის შესაფერი გარემო.

ზედმეტი არ იქნება ერთ-ორი სიტყვით თვალი გავავლოთ კულტურული მცენარეების წარმოშობის საკითხებს ჩვენში\*. ჩვენი რესპუბლიკა წარმოადგენს მრავალი კულტურული მცენარის წარმოშობის კერას (ამას აღნიშნავენ ნ. ვაელოვი, ლ. დეკაპრელევიჩი, პ. უკოვსკი, ვლ. მენაბდე და სხვ.).

გარეული ხორბლები ველურად არ გვხვდება, მაგრამ ისინი გვხვდებიან, როგორც სარეველი მცენარენი ყანებში (ვ. მენაბდე). სომხეთში ველურად მრავალი გარეული ხორბალია ნანახი, ერეენის მახლობლად მათი ცენოზიც კი აღწერა (მ. თუმანიანი).

ამჟამად საქართველოს ხორბლებში 11 სახეობას ვარჩევთ, მათ შორის მრავალია ენდემური სახეობა (კოლხური ზანდური, მახა, ზანდური, დიკა). ყველა მათგანი შეიცავს მრავალნაირ ქვესახეობას და ვარაიციას, იმაზე, რომ აღარ ვილაპარაკოთ, რომ მრავალი ათეული, უნიკალური ჯიში არსებობს. ამ მხრივ ჩვენი რესპუბლიკა თავისებურ მუზეუმს წარმოადგენს, „სადაც თავმოყრილია ხორბლის სახეობათა მრავალფეროვნება. მარტო აქ (და მსოფლიოში სხვაგან არსად) შემონახულია კულტურული ხორბლების ევოლუციის ინიციალური ტიპები. ამგვარად საქართველო ხორბლების მუზეუმიცა, მსოფლიო უნიკუმი, (ვ. მენაბდე).

საქართველოში სხვადასხვა სარტყლისათვის შექმნილია არა ჯიშები მხოლოდ, არამედ სახეობანიც კი (დიკა, მახა). აღნიშნულია, რომ რბილი ხორბლის მრავალი შესანიშნავი ფორმა და ჯიში გამოყვანილია მთების შუა სარტყელში (1000—1500 მ შორის) და აქედან დაემყვანნენ ბარად (ნ. კეცხოველი). არც შეშთხვევითია, რომ მახა, ზანდური, ჩელტა ზანდური და დიკა სწორედ მთებშია შემორჩენილი, ისი-

\* ამ თავის ნაწილი მოხსენდა VII საერთაშორისო ეთნოგრაფიულ კონგრესს 1964 წ.

ნი აქაა გამოყვანილი და სწორედ აქაური ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით. ეს ღებულება დასტურდება „კულტურულ მცენარეთა წარმოშობით მთის ხეობებში“ თეორიით (ვ. კომაროვი).

ამ ათიოდე წლის წინათ გამოირკვა, რომ ზანდური და მახა სრულიად აღარ იყო რაქა-ლეჩხუმში. სკოლების დახმარებით აღდგენილია რამოდენიმე სოფელში. ასევე თითქმის მოსპობილია სამხრეთ-ოსეთში დიკა. ამ საკითხებს საკიროა დიდი ყურადღება მიექცეს ძველი ჯიშების შესანარჩუნებლად აუცილებელია სახელმწიფოებრივი ღონისძიებანი.

ითვლებოდა, რომ ღომი ჩვენში შემოტანილია მოგვიანებით, მაგრამ სარეველა ღომის ნახვის შემდეგ ვფიქრობთ, ჩვენშიც არსებობდა მისი წარმოშობის პარალელური კერები, გარდა ამისა, საქართველოს მეორე-მესამე საუკუნის ნამარხებში აღმოჩენილია ნამდვილი ღომის მარცვალი. საქართველოს ხელნაწერები ღომს იხსენებენ მეფერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეშიც.

ასევე ადგილობრივი წარმოშობისაა სელები ბარისა და მთისა, რომელიც ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვამდე მესამე მეოთხე საუკუნეში გვხვდება.

ქართული ვაზის ჯიშებიდან დღემდე შემორჩა ხუთას ჯიშზე მეტი, ძველ ხელნაწერებში მრავალი ისეთი ჯიშია მოხსენებული, რომელთაც დღემდე ვერ მოაღწიეს. ჩვენი ავბედობის დროს დამპყრობელნი ძირფესვიანად სჩეხავდნენ და სპობდნენ ვენახსა და ნიგვზნარებს, ბაღებსა და თუთნარებს, ანგრევდნენ და შლიდნენ სარწყავ არხებს და მის სისტემას, ამით ისინი ეკონომიურ საფუძველს უსპობდნენ სახელმწიფოს. ამიტომ გასაკვირველი არაა, რომ დღეს მრავალი ძველი ჯიში სამუდამოდ დაგვეკარგა, არამცთუ ვაზისა, არამედ სხვა კულტურული მცენარეებისა, მიუხედავად ამისა, უნდა ვიფიქროთ, რომ ცოტა ხანში ცნობილი ჯიშების სიას მიემატება ახალიც, ბევრი ჯერ კიდევ „თვლემს“ მიყრუებულ ხეობათა ვენახებში და ბაღებში, გარდა ამისა, ჩვენ მეცნიერ მევენახეებს გამოჰყავთ ახალ-ახალი ჯიში (ამ. ნეგრული, დ. ტაბიძე, მ. რამიშვილი, მიროტაძე და სხვ.).

საქართველოში დღევანდლამდე შემოინახეს უნიკალური კულტურები იმერული ისლისა, ურიშასი, ჭყიმახალის. ამათ გარდა, კულტურაში აღნიშნულია ონკოც (ალ. მაყაშვილი).

ხილულთა შორის აღრიცხულია ორასზე მეტი ჯიში (ნ. ხომი-ზურაშვილი, ე. ერისთავი).

საქართველოში და, საერთოდ, კავკასიის მცენარეული ფონდის გადათვალიერება დაგარწმუნებთ იმაში, რომ კულტურაში მცენარის მოსაშინაურებლად მასალას ველური ფლორიდან იღებდნენ.

ველური ფლორა დღესაც საკმაო რაოდენობით იძლევა საკაზმ-სანელებელს, საკვებს თუ ვიტამინით მდიდარ პროდუქტს.

ველურ საკაზმ-სანელებელი მცენარეებიდან შეიძლება დავასახელოთ ონჭო, ურცი, ბეგქონდარა, ულუმბო, ქინძი და მრავალი სხვა, რომელიც ბუნებაში ძირითადად 1500 მ სიმაღლემდე გვხვდება. კულტურაში კი 2000 მ სიმაღლემდე.

იმ ვიტამინიან მცენარეთა შორის, რომელნიც ნედლად იხმარება, უნდა დავასახელოთ; მჟაუნა, მჟაქელა, კოკომჟაეა, დუცი, დიყი, კობრჩხილა, ფამფარები. მრავალ მათგანს ზამთრისათვისაც ამზადებენ. მაგალითად, ლლოს (წნავენ გალებად და ახმობენ), კობრჩხილა, ქაჩქეტა, კაპარი და სხვანი (წნილად დებენ), ულუმბო, ონჭო (ახმობენ და ფქვავენ).

ხილეულებს მიეკუთვნება მოცვი, წითელი მოცვი, ლურჯი მოცვი, კაკასური ანუ მალალი მოცვი. მაქალო, პანტა, ბერყენები, ცირცილი, ტყემალი, კვრინჩხი, ბალამწარა, ზღმარტლი, შვინდი, კოწახური, ბია, კაკალი, წყავი, ხუნწი, ხერტკმელი. მრავალნაირი მაცვალი და ეოლო. ტყემლისაგან და შვინდისაგან მზადდება ტყლაპი. კვრინჩხი და შვინდი იძლეოდა საუკეთესო კერკს. კოწახურსა და თუთუბოს ახმობდნენ და ფქვავენ (იხმარებოდა როგორც საკმაზი) და სხვა მრავალი.

მაქალო და პანტა დიდხანია მოშინაუბრებულია და კარმიდამოზე და ბაღებში გვხვდება 1800 მ სიმაღლემდე. სხვა მცენარეთაგან, რომელნიც საკვებად იხმარება, ასობით შეიძლება ჩამოითვალოს, მაგრამ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ჯონჯოლი ჩვეულებრივი და კოლხური, რომელთა ყვავილებს და ნაწილობრივ ნორჩ ყლორტებს ამწნილებენ. ჯონჯოლის მწნილი საუკეთესოდ ითვლება.

ველური მცენარეები უზარმაზარი ფონდია, საიდანაც ხალხი იღებდა უდიდეს მასალას კულტურულ მცენარეთა ჩამოსაყალიბებლად.

მრავალი მოშინაუბრებული მცენარე ადამიანის ზეგავლენის შედეგად იმდენად ძლიერად შეიცვალა, რომ ბუნებაში მისი უშუალო წინაპრის მონახვა უკვე ძნელია.

„პირველი ამოცანა, რომელიც ჩვენს წინაშე დგას, ესაა ყოველი მცენარისათვის დავადგინოთ, სად წარმოიშვა იგი როგორც კულტურული მცენარე. ვიპოვოთ იმ ქვეყანაში მისი ველური წინაპრები, შევისწავლოთ და დავადგინოთ ნათესაობა მათ შორის, გავიგოთ ის ხერხები და ღონისძიებანი, რომელთა დახმარებით ველური მცენარენი მოაშინაურეს“ (ვ. კომაროვი).

ეს დებულება სახსებით უდგება აგრეთვე საქართველოს მცენარეულებსაც. საქართველო მრავალი მცენარისათვის პირველადი კერაა. ზოგიერთი მცენარისათვის კი წარმოშობის პარალელური. მაგალითად, ვაზის დამოუკიდებელ კერებად უნდა ჩაითვალოს აზიური, ხმელთაშუაზღვიური, ამერიკული და სხვ. საქართველო და კავკასია განსაკუთრებით დგანან. აღმოსავლეთ საქართველოში აშინაურებდნენ და აუშჯობესებდნენ შეუბუხავ კრკინას. დასავლეთ საქართველოში შებუსვილ ფორმებს. არსად იპდენი ჭიში (500-ზე მეტი) არ არის, რამდენიც საქართველოშია. მოსაშინაურებლად კრკინა გამოქონდათ ჩვენი მდინარის ქალებიდან (ალაზნის, იორის, ქციის, არაგვის და საერთოდ მტკვრის ქალებიდან აღმოსავლეთ საქართველოში, დასავლეთ საქართველოში კი — კოლხიდის ლიანიანი ტყეებიდან). კრკინის ზოგიერთი ფორმა ქალის ტყიდან შექრილი მთის წინა კალთების ტყეებშიც ბინადრობს (რაქა).

აქამდე არსებობს შეხედულება, რომ კულტურული მცენარის ორი ტიპი არსებობს: პირველი სრულიად ახალი, რომელიც ადამიანმა შექმნა. მეორე კი ბუნებიდან გადმონერგული, რომელიც დიდად არ შეიცვალნენ, მაგრამ თუ მაინცდამაინც შეიცვალნენ, ველურის ნიშნება კიდევ აქვთ.

„ჩვენთვის საინტერესოა, როგორც მუშაობდნენ ძველად კულტურულ მცენარეთა შესაქმნელად“ (ვ. კომაროვი)

ჩვენს ბაღებში გამოქონდათ ველური ხილეული (ვაშლი, მსხალი, ბალი, ტყემალი, ზღმარტლი, შინდა), თანდათან აუშჯობესებდნენ ნაყოფს, მის გემოს, ზომას, შეფერილობას (პირველადი სელექცია), მაგრამ ველურობის ნიშნები კიდევ რჩებოდა ხილეულიდან. ასეთ ჭიშვილად უნდა მივიჩნიოთ — მსხლებიდან გოხა, ხეკეკური, კალოს მსხალი, გვერწითელი, შავი მსხალი და სხვა, ვაშლებიდან — ქაშა, თეთრა და სხვა, მაგრამ ისეთი მსხლები, როგორცაა: გულაბი, ბეზიასმსხალი, კაციისთავა, ვაშლებიდან — კეხურა, თურაშაული, აბილაური, ახალციხური, ლაგოდნური, ნისკარტა, კატრა უკვე ფრიად გაკეთილშობილებულნი არიან.

ქართული ბაღის ბლებს შორის მრავალნაირი ფორმა გვაქვს: წვრილი, მსხვილი, მომწარო, ტკბილი, წითელი, მოყვითალო, გვერწითელი და სხვ. ეს ბლები ადგილობრივ არიან შერჩეულნი ქალის, ვაკის და მთის წინაკალთების ტყეებში. წვრილი და მომწკლარტო უფრო მკაფიოდ ატარებს ველურობის ნიშნებს, ვიდრე მსხვილნაყოფა და მოტკბო.

ასეა ვაშლიც. „ტყისყურძენი“ ჯერ კიდევ ატარებს ველურობის ნიშნებს, მაგრამ „რქაწითელი“ შედეგია მაღალი ხელოვნების და დი-

დი ისტორიისა, პურებიდან ზანდური, მახა, გეაწა, ნამღვილი ასლი თუ ჯერ ველურობის მრავალ ნიშანს ატარებს, დიკა და დოლის პური უკვე დაწმენდილებია. ესენი მარტო პირველადი სელექციის პროდუქტები კი არ არის, არამედ უფრო ღრმა მუშაობის — შეჯვარებისა, პირველ ეტაპზე შეჯვარება შეიძლება „შეუგნებელი“, „გაუთვალისწინებელი“ იყო, მაგრამ მალე დადგა დრო, როდესაც შეჯვარება და შერჩევა ერთად მიდიოდა, უკვე შეგნებულად. ამ დროიდან კულტურულ მცენარეთა ფონდი საგრძნობლად გაიზარდა.

საბოლოო მოშინაურებას წინ უსწრებდა მრავალნაირი საფეხური. ბუნებაში პირველი დაკვირვების შემდეგ აღამიანს ის მცენარე, რომელიც თვალში მოსდიოდა, გადმოჰქონდა სახლ-კართან და იწყებდა მოვლას. ახდენდა მასზე გავლენას, აუმჯობესებდა, ეს „გავლენა“ ძალიან ხშირად იწყებოდა პირველად სამყოფელზეც. ჩემს პიერ, ჯერ კიდევ 1920 წელს მთა-თუშეთში მუშაობის დროს, აღინიშნა მცენარის მოშინაურების პირველადი ეტაპი. მთა-თუშეთის სოფლების უმრავლესობა მდებარეობს 1600—2000 მეტრს შორის, რამდენიმე კიდეც უფრო მაღლა (დართლო) ზღვის დონიდან, ე. ი. მთამალის ტყეების და სუბალპების სარტყლებში, მეხილეობა და მებოსტნეობა შეზღუდულია, მცირე მიწისა და კლიმატური პირობების გამო. ხშირად სოფელი „არწივის ბუდესავითაა“ მიკრული ციკაბო ფერდოზე. მცირე სახნავ-სათეს მიწებზე პირველ რიგში ითესება მარცვლეული (ჭევი, ქერი, ხორბალი, ფეტვი). ნედლი ხილეული, ბოსტნეულისა და აგრეთვე, საკაზმ-სანელებელი მცენარის ნაკლებობას ინახაულებდნენ ველური მცენარეულობიდან (სახლკართან ზოგან მცირე ბოსტანიც აქვთ, სადაც ითესება, პირველ რიგში, წეკო ოცი-ოცდაათი ლირი. ხახვი, ნიორი და, თუ ფართობმა საშუალება მისცა, სხვა მწვანილიც). პირველად საჭირო მცენარეები იყრიფებოდა იქ, სადაც ნაქულობდნენ, შემდეგი დაკვირვების შედეგად უკვე შეიგულებდნენ ისეთ ადგილებს. სადაც საჭირო მცენარე მეტი რაოდენობით იზრდებოდა. ის ნაკვეთები, სადაც ერთი და იგივე აღამიანი რამოდენიმე წლის მანძილზე კრეფდა, მისი „საკუთრება“ ხდებოდა და იჩემებდნენ ოჯახი. გვარი, უბანი, ხშირად სოფელიც. ოთას ხეობაში, მესხეთში, პანტას ბერტყავდნენ ასპინძლები და ხიზაბავრელები, ისინი თვლიდნენ, რომ პანტა-მაქალოს კრეფა პირველ რიგში მათი უფლება იყო, მიუხედავად იმისა. რომ ტყე თავიდანვე სახელმწიფოსი იყო. სხვები ველური ხილის საკრეფად ხეობებში შედიოდნენ მაშინ, როდესაც დასახლებული სოფლები მოინახულებდნენ და დაბერტყდნენ. შემდეგში ასეთ შეგულებულ ადგილებში, მართალია, პრიმიტულ ფორ-

ნებში, მაგრამ მაინც იწყებოდა მოვლაც. სპობდნენ უგემურ ძირებს, სტოვებდნენ გემრიელს, მსხმოიარეს, მარგლიდნენ და სტოვებდნენ მხოლოდ სასურველთ.

ტყის საუკეთესო ხილეულით მესხეთის სხვა მხარეებზეცაა ცნობილი. მესხეთის სოფლები 900—1500 მ შორის მდებარეობენ, მსარე დაქსელილია ღრმა ხეობებითა და ხეევებით. ხილეულის მოშინაურობა სწორედ ამ ხეობებშიც ხდებოდა. ეს ხილეული შემდეგში გამოდიოდა ვაკეზე და აქვე ამთავრებდნენ იმ თვისებათა შედარებით სრულ გამოვლინებას, რაც ჯერ გამოუმქვდა ვენებელი იყო ვიწრო ხეობაში, სხვადასხვა პირობათა გამო.

ასევე მდიდარია ველური ხილეულით თრიალეთი, სადაც მოშინაურობის ცდები ზოგიერთ სოფელში დღესაც აღინიშნება. თრიალეთის ველური ხილეული (პანტა, მაქალო) ფრიად მრავალფეროვანია და მრავალნაირი ნიშნების მატარებელი.

მთაში დიდი რაოდენობით ხმარობენ ნელად საქმელად მრავალნაირ ქოლგოსნებს; ქუიშს, დუცს, დიყას, შუპყას, მთის სოფლიდან ზავშეები მიდიოდნენ ამ მცენარეთა ამონხრდის ადგილებში და მათი ღეროები, საერთოდ საქმელი ნაწილები, დიდი ფოთლების (დუცი, დიყი) მსხვილი ყუნწები, კონებად შეკრული, ზურგით, ან უფრო ხშირად სახედრებით ან ცხენებით მიჰქონჯათ. სოფელში დარჩენილი ბავშვები და ქალები სიხარულით ხვდებოდნენ ამ ვიტამინიან მცენარეთა მოშობებელთ. უფროსები მოტანილ დუცსა და დიყას თუ სხვას სწრაფად ანაწილებდნენ დამხდურთა შორის (უბანში, ხშირად სოფელში), ფტკენიდნენ და სიამოვნებით ახრამუნებდნენ თავის წილს, ამავე დროს იყო ევილ-ხივილი, ლექსაობა და სხვა. ალბათ ვიტამინიან მცენარის მიღება უნებლიეთ იწვევდა თავისებურ აღტყინებას

ამ მცენარეთა საცხოვრისზე (სუბალპური ტყის პირი, მდელი, მაღალი ბალახეულობა) სოფელში მომტანი ბავშვები მოსავლის „აღება-მდე“, მაშინ, როდესაც სოფელში დარჩენილ საქონელს მწყემსავდნენ, ამ ადგილებში რამდენჯერმე გაჩნდებოდნენ ხოლმე და ეს პატარა „მებაღენი“ თავის „ბოსტნებს“ მარგლიდნენ, გლეჯდნენ არასასურველ მცენარეებს ჯახებით ან ბარულებით და აფხვიერებდნენ ნიადაგს. ისე, რომ მოსავლის აღების დროს (ზაფხულის პირველი ნახევარი) მათი „ბოსტანი“ საკმარისად სუფთა და ერთგვაროვანი ყოფილიყო.

სუბალპების ტყის ქვეტყეში ბევრია ხუნწი და ხურტკმელი. იგივე ბავშვები, რომელნიც ქმნიდნენ დუცსა და დიყის „პლანტაციებს“, ჰქმნიდნენ აგრეთვე კენკროვნების „ბაღებს“ იქ, სადაც ცოტა თუ ბევრად, მეტი იყო ხუნწი და ხურტკმელი, სხვა ბუჩქებს ძირკვავდნენ

ან ჩეხდნენ, მაღალ ბალახებს გლეჯდნენ. ხუნწიცა და ხურტკმელიც  
წარიად მრავალნაირია (მოსავლიანობით, სიტკობით, შეფერილობით)  
და განსაზღვრული დროის მანძილზე დაკვირვების შემდეგ ზოგიერთი  
მათგანი გაღირვებოდა ხოლმე საკარმიდამო ბაღჩაში (თუ ასეთი ვის-  
მეს ჰქონდა), არა იშვიათად ასეთი მცენარენი (ხურტკმელი, ხუნწი)  
მთიდან ბარადაც ჩამოჰქონდათ. თუშები, განსაკუთრებით. ჩალჰანი,  
ორმოცდაათიან წლებამდე, ორი საცხოვრისის მქონენი იყვნენ მთის  
სოფლებისა (დიკლო, ომალო, შენაქო, ხახაბო, ხისო, ჭვარბოსელი,  
გირევი, ფარსმა და მრავალი სხვა) და ბარისა — ქვემო ალვანი, ბირ-  
კიანი. სამწუხაროდ ამ უკანასკნელი 10—15 წლის მანძილზე მთაში  
ზაფხულშიც ცოტანი აღიან, ამას ხელს უშლის უგზობობა და აგრეთვე  
ის, რომ ცხენი პირად მეურნეობაში თითქმის გადაშენდა, უცხენოდ  
კი მთა-თუშეთში ასვლა ძნელია. თვით ომალოდან, სადამდეც თვითმ-  
ფრინავი მიდის, სხვა ხეობებში შესასვლელად ცხენია საჭირო.

უნდა აღინიშნოს, მთამაღალში ხუნწი და ხურტკმელი საკარმი-  
დამო ბაღჩაში ცოტაა (ნაკვეთის სიმცირის გამო). სამაგიეროდ, მათ  
მთიდან ბარად ჩამონაცვლება უფრო ხშირი მოვლენა იყო.

მთაში დიდი რაოდენობით იზრდება მოცვი — ლურჯი და წითე-  
ლი. ხალხი მის ნაყოფს იყენებს ნედლადაც და საზამთროდაც ახმობს.  
ისინი გვხვდებიან როგორც მთის ტყეებში (უფრო ხშირად ფიჭვნა-  
რებში), ისე მდელოებზე. მოცვზე მთელი სოფლის ბავეშობა ერთად  
ნიდიოდა. ზოგი მათგანი, განსაკუთრებით მწყემსი-მორბედი, მოცვი-  
ანის პატარა „ბალსაც“ კი აკეთებდა. ამისათვის სხვა ბუჩქს: კეწე-  
რას, მაჯალვერს, დრიასს ძირკვავდა, მარგლიდა მაღალ ბალახსაც,  
ჩქვე მოგროვილი ქვით ღობავდა, ან ნაკვეთის კუთხეებში აშენებდა  
ქვაკაცებს (ერთი მეტრის სიმაღლის სვეტებს). მწყემსების თქმით ასეთ  
„ბალებში“ სხვა დაუკითხავად არ შევიდოდა. მოცვების გადარგვა  
ნაკვეთზე არსად შეგვიმჩნევია, სამაგიეროდ, ყოლო შედარე-  
ბით ხშირად გადააქვთ, ყოლოს „ბალები“ ველურად არ შეგვხვედრია.

თრიალეთის ქედის ზოგიერთი სოფლის მახლობლად შემჩნეულია  
ტყე-ბალების შექმნა და მოშინაურება ხილეულისა. ხილეულით ეს  
მხარე განსაკუთრებით მდიდარია მუხნარ-რცხილნარ სარტყელში.  
ცნობილია, რომ რევოლუციამდე ახალი ნაკვეთების ათვისება გაახო-  
ცებით ხდებოდა. იძირკვებოდა ყველა ხე ხილეულის გარდა. ასეთი  
გაწმენდის შემდეგ სექტარზე რჩებოდა 50—100 ხე (უმთავრესად  
პანტა, მაჯალო, ბალამწარა, ტყემალი, ზოგი ზღმარტლი). ხე  
მცენარენი დაცილებულნი იყვნენ 10—30 მეტრით. ახალ გაახოვე-  
ბულ ნაკვეთზე პირველ ორ წელიწადს ირგვებოდა კარტოფილი, შემ-

დღე კი მარცვლელი ითესებოდა (ხორბალი, ქერი, ფეტვი, სიმინდი).

ხეხილს აკვირდებოდნენ და 2—3 წლის შემდეგ ამოიძირკებოდა ყველა ის, რომელიც ცუდი ხარისხის მოსავალს იძლეოდა. ამის შემდეგ მეორე, მესამე წელს კიდევ ხდებოდა გადარჩევა და საბოლოოდ ნაკვეთზე რჩებოდა 30—50 ხე. შემდეგში ასეთ ბაღში რგავდნენ 5—10 წლის ტყეში მოპოვებულ „კარგ“ ნაყოფიან ნერგებს. ზოგიერთ მათგანზე ემყნობოდა ცნობილი კულტურული ჯიშები, ასეთ „ბაღებში“ (და ნამდვილ ბაღებშიც) ჩნდებოდა თვითნათესებიც. ბევრ მათგანს ლამაზი და გემრიელი ნაყოფი ჰქონდა (თვითშეჯვარებისა შედეგი). ასეთებს სტოვებდნენ, უვლიდნენ და იქმნებოდა ახალი ჯიშები, რომელნიც არ წააგავდა არც ერთ წინაპარს. ასეთი წარმოშობისაა ნისკარტა ს. კარალეთიდან, გოგიაანთ კიტრა—ს. ტყვიავიდან, კეხურა—კეხვიდან, ზერტულა—ს. ზერტიდან და სხვები, რომელნიც ქართლ-ბაღებში პირველად მეოცე საუკუნის დასაწყისში გაჩნდნენ. ასეთ ბაღები მეოცე საუკუნის ოციან წლებამდე ბევრი იყო დიდი, და პატარა ლიახეების ხეობებზე, ქსანზე, არაგვზე, ლეხურაზე, იორზე, ქციანზე, ალგეთზე, ფცისა და ფრონის ხეობებზე. ზოგი ხეობის მიყრდნულ კუთხეში (ქცია, ფცა, ფრონე, მამავერა) სამოციან წლებამდეც მცხოვრებია. ამ ბაღებშია შერჩენილი: აბილაური, ქაშა, კეხურა, გოხა მსხალი. კალოს მსხალი, ხეჭეჭური და სხვა მრავალი; ტყემლის ჯიშებიდან — ქარვა, წითელი, გვერდწითელი, თეთრა. ტყემლებს პირდაპირ ტყეში აჩვენებდნენ და გადმოჰქონდათ ბაღებში (ლობისძირებში).

მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში ტიპური ბაღი იშვიათი იყო, ძირითადად არსებობდნენ ტყე-ბაღები (ვახუშტი ბაგრატიონი, გიულდენშტედტი, ლამბერტი).

ასევე ტყიდან გადმოჰქონდათ ვაზიც, ყველა ნიშნით ეტყობა. რომ აჭარული „ტყის ყურძენი“ ახალი შემოტანილია, მას ტყის პირებში რგავენ და ხეებზე უშვებენ (მ. რამიშვილი).

სიღნაღის რაიონში გავრცელებული „ტყის ყურძენი“ პირველ-საგან განსხვავებით, კარგნაყოფიანია, მაგრამ აქ მას დაბლარად კი არ აშენებენ, არამედ მაღლარად. ს. ჩოლოყაშვილის აზრით, ეს ვაზი ალანის ტყეებიდანაა გადმოტანილი, თუ აჭარული ტყის ყურძენი ველურობის ნიშნებს კიდევ ატარებს, სიღნაღური სავსებით კულტურულ ნიშნების მატარებელია. ეს უკანასკნელი ალბათ გაველურებულია და მეორადი ინტროდუქციის შედეგად კვლავ გაჩნდა ვენახებში, და კარ-მიდამოზე. ამ მაგალითებითაც მტკიცდება, რომ ისეთი ძველი კულტურა, როგორცაა ვაზი, დღესაც კი მდიდრდება ველური ფორმებით. 1958 წელს გარეჯის უდაბნოს ძეჟვიანებიდან ჩამოტანილ იქნა

ვაზის შესანიშნავი ჯიში. ეს გარეჯის მონასტრის ვენახებიდან გველურებული ჯიში საკოლმეურნეო ვენახებში ახალ ცხოვრებას დაიწყებს.

ველური ვაზის შესწავლის დროს გამოიჩინა, რომ კრიკინას გვერდით დიდი რაოდენობით მოიპოვება გაგარეულებული ნამდვილი კულტურული ვაზიც.

ერთ-ერთი ველური საზღვარი ველური ბროწეულისა და ლედვისა საქართველოცაა. შეისწავლეს რა ლედვის ადგილობრივი ჯიშობრივი ფონდი, ჩვენი მკვლევარები (ნ. ხომიჭურაშვილი) იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მრავალი ადგილობრივი ჯიში გადმოტანილია ველური საცხოვრისიდან. აღმოსავლეთ საქართველოში მასალას იძლეოდა ჩვეულებრივი ლეღვი, დასავლეთ საქართველოში — კოლხური ლეღვი.

ადგილობრივი ლეღვი სწრაფად ველურდება და ველურ ცენოზებში იღებს მონაწილეობას, განსაკუთრებით ნათელ ტყეებში, ასევეა ბროწეულიც. იგი ველურდება და ველურ ბროწეულიანებში იღებს მონაწილეობას.

ლეღვი აღმოსავლეთ საქართველოში გორამდე აღწევს. მცხეთის ზევით — ბუჩქის სახით, ხიდის-თავის მოფარებულ ადგილებში კი კარგად მოზარდ მსხმოიარე ხეებად.

ჯონჯოლი (აღმოსავლეთ საქართველოში ფრთართული ჯონჯოლი, დასავლეთ საქართველოში კოლხური ჯონჯოლი) იზრდება ქალის ტყეებში, ვაკისა და მთების წინა კალთების ტყეებში, როგორც საკმაოდ ჩვეულებრივი ქვეტყე. ყვავის ადრე გაზაფხულზე. მის ყვავილსა (ჯერ მთლიანად გაუშლელს) და შიგა და შიგ ნორჩ ყლორტებს ამწნილებენ.

ყვავილს კრეფენ ტყეში, ზოგან იგი ბალ-ვენახებში ლობის ძირებშია დარგული, იქ, სადაც დაახლოებით ბუნებრივი პირობებია შექმნილი, ლობის ძირში ჩვეულებრივად დარგულია (იყო!) მალაღმოსარდი ხეხილი (მსხალი, მოშინაურებული მაქალო, ტყემალი, ჭახჭურა, დამასხი, ლოღნოშო, ქლიავი და მისთანანი) ან ვენახ-ბაღს შემოვლებული ჰქონდა სასარე (ვერხვი, ტირიფი, იფნი, თელა). ჯონჯოლს სწორედ ასეთ ადგილებში, მღიდარს სხვადასხვა ხეებით და ბუჩქებით, რგავდნენ. ახალი საცხოვრისი ძველისაგან მხოლოდ ნაწილობრივ განსხვავდებოდა. ტყიდან გადმოტანა და მისი მოშინაურება საკარმიდამო ნაკვეთზე დღესაც გრძელდება, რასაკვირველია იქ, სადაც ამის საშუალება არსებობს (კოპორტი, ოკამი).

შინდი ჩვენში, სავარაუდო ანგარიშით ტყის 300000 ჰექტარზე მანკა გავრცელებული, მიუხედავად ამისა, ტყიდან შვინლი ბალ-ვენა-ტეპში (ლობისძირებში) მაინც გადმოჰქონდათ, აქაც არჩევდნენ რასაკვირველია საუკეთესოებს. ასეთი გადმოტანის შედეგი უნდა იყოს ყვითელი შვინდი (ოქროშინდა), რომელიც ტყეშია ნაპოვნი და დღეს კულტურაში გვხვდება, თუმცა ფრიად იშვიათად. ყვითელი შვინდი ზოგი მკვლევარის აზრით (როლოვი, ვინოგრადოვ-ნიკიტინი, ქ. სანასჟე) ტყეშიც გვხვდება, სხვები (ი. ვორონოვი, ა. ვასილევ) ამას უარყოფენ; ჩვენ ტყეში არსად შეგვხვდებოდა. უფრო შესაძლებელია, რომ იგი, როგორც იშვიათი თესლნერგი ან მუტანტი, ტყიდან გადმოიზარდა ამით ტყეში შეწყდა მისი არსებობა.

საქართველოს მთიანეთში შექმნილია მრავალი შესანიშნავი სა-ღებები ბალახი. ჭავახეთში გამოყვანილია ჭავახური ესპარტეტი. რომელიც ველური, კავკასიური ესპარტეტის გაუმჯობესების შედეგია, ე. უკანასკნელი ველურ ცენოზში დღესაც დიდი რაოდენობით ხარობს. ასევეა გამოყვანილი საკვები ჭავახური ცერცველა (მისი წინაპარია სარკველად გავრცელებული უნგრული ცერცველა). ამ მცენარეებმა უკვე შეიქმნა ჩამონაცვლეს და საკმაო ფართობი დაიკვირეს, თესლთაბრუნ-ვაში. ჭავახური ესპარტეტი ითესება თესლთა-ბრუნვის გარეშეც, რო-გორც კარგი საკვები, დიდმოსავლიანი და გვალვის გამძლე სათიბი ბა-ლახია.

ომბალო დასავლეთ საქართველოს დაბლობის ტყეების ძელოვ-ნის ჩვეულებრივი, ფართოდ გავრცელებული მცენარეა (დასავლეთ სა-ქართველოს კულინარიის აუცილებელი ატრიბუტია), მიუხედავად ამისა, რომ იგი ველურადაც ბევრია, დიასახლისები ზოგან თავის ბოსტან-ში ერთ-ორ კვადრატულ მეტრს მაინც გამოყოფენ ამ მცენარისათვის. ამგვარად ეს მცენარე გადის გაკულტურების ერთგვარ ეტაპს და იმ-გროვისათვის, როდესაც დასავლეთ საქართველოს დაბლობები მთლი-ანად ათვისებული იქნება, ბოსტანში უკვე იქნება კულტურული ომბა-ლო.

აღნიშნულია მრავალი შემთხვევა, როდესაც ტყიდან ბალებში გად-ნოაქვთ დეკორაციული მცენარენი: უცვეთელა, გრაცლა, ჩიტავაშლა, ყამბრო, კნაპა. მთაში (მთა-თუშეთში) როგორც ოთახის მცენარე აღნი-შნულია კლდისვაშლა, კლდისდუმა და სხვანი.

არსებული მასალები ადასტურებენ, რომ მცენარეთა მოშინაუ-რება საქართველოში უხსოვარი დროიდან მოდის; ირკვევა, რომ მო-შინაურების პირველი ეტაპი ცენოზშივე იწყებოდა (ამის გადმონაშთი უკვე იყო აღნიშნული), შემდეგ გრძელდებოდა კარ-მიდამოზე და იქ-მთავრდებოდა.

კულტურული მცენარეების ნაწილი პროდუქტია „შეუგნებელ“ და შეგნებულ შერჩევისა და ჰიბრიდიზაციისა. ამ ჯგუფის მცენარეები უფრო გაკულტურებულია, დაწმენდილია და ველურ ფლორაში პარალელური ფორმები ძნელი მოსანახია.

როგორც აღვნიშნეთ, მრავალი კულტურული მცენარე სხვადასხვა მიზეზთა გამო გაველურდა და სწორედ ესენი ერთ-ერთ ფონდს წარმოადგენენ მეორადი ინტროდუქციისათვის.

ამგვარად ვხედავთ, რომ მრავალი კულტურული მცენარე ადგილობრივი წარმოშობისაა. ბევრი მათგანი მთაშია წარმოშობილი, შექმნილია ბარად ჩამოსული და ვავრცელებული. ზოგჯერ ეს მცენარე მთაში დღეს არც კი გვხვდება, მაგრამ აგროგეობოტანიკური რუკის შედგენის დროს, მცენარის გავრცელების საზღვრების დადგენისას, ეს მოქმედი არ უნდა იქნას დავიწყებული.

### აბრ(ბე)ობ(ბ)ტანიკური რუკა

საქართველოს ტერიტორია 6.548.600 ჰექტარია, სარტყლების მიხედვით იგი შემდეგნაირადაა დანაწილებული: 0—500-მდე — 23,5%, 501—1500 მ-მდე—33,4%, 1501—2000 მ-მდე—17,4% და 2001 მ ზევით — 19,8%.

მთიან მხარეში ფერდოთა დამრეცილობა ხშირად 45<sup>0</sup>-მდე აღწევს. ზოგიერთ სოფელს, რომელნიც 2000—2300 მ სიმაღლეზე მდებარეობენ, „სახნავ-სათესი“, საძოვარი და სათიბი აქვს მთის ფერდობებზე. დახრილობა 40—45<sup>0</sup>-ს უდრის.

საცხოვრისის სიჭრელე განსაკუთრებით მკვეთრია ვიწრო ხეობებში, სადაც ბუნებრივი პირობები ყოველ ნაბიჯზე ცვალებადობს. ერთსა და იმავე ფერდობზე ერთიმეორეს შენაცვლის სხეადასხვა ხნოვანების, შემადგენლობის წიაღვარი და ფიქლები, კონგლომერატები და კირქვები, ამის და მიუხედავად ცვალებადობს არა მარტო მცენარეულობა, არამედ მეურნეობის მეთოდებიც.

ისეთ მთიან ქვეყნებში, როგორიც კავკასიაა, სარტყელთა ცვალებადობა და მცენარეული ტიპების მორიგეობა ყოველთვის არ ემორჩილება ბუნების საერთო „კანონებს“, ძალიან ხშირად ველები ან ნახევარ უდაბნოები უტბად ამოჰყოფენ ხოლმე თავს იქ, სადაც არ ელი, ტყეში ან სუბალპებში. ასე მაგალითად, ჭავჭავთში და სომხეთში მთების შუასარტყელი, ტყის ნაცვლად, უჭირავს მაღალმთის ველს. მთაოუშეთში და სხვაგან აღმოსავლეთ კავკასიონზე ნახევარველებსა და ნახევარუდაბნოებსაც კი შეხედებით. თუ საქართველოში ნათელ ტყეებს უჭირავთ სიმაღლეები 800—900 მ-მდე, საქართველოს მოსაზღვრე სომხეთში ამ ტიპის ცენოზები გვხვდება 2000 მეტრზე და ზევითაც (სეევანის გუნების ნაპირი, ხოსროვის ხეობა სომხეთის სამხრეთ მხარეში და სსკ.), ამავე დროს ამ ტყეებს სუბალპური ტყის ელემენტები ემეზობლებიან და ჰქმნიან უცნაურ დაჯგუფებებს.

საქართველოს ბარში დანერგილია ინტენსიური სოფლის მეურნეობა, აშენებენ დიდმოსავლიან კულტურულ მცენარეებს (ჩაი, ციტრუსები, ტექნიკური კულტურები, ვენახი, ბაღი). საქართველოს მთიანეთში (და არა მარტო საქართველოში) ჯერ კიდევ შემორჩენილი გვაქვს ექსტენსიური მეურნეობა, ვთესავთ და ვაშენებთ ნაკლებმოსავლიან მცენარეებს, ვხნავთ აჩაჩით. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ის სოფლები, რომელნიც მაღალმთაში იყო, მისდევდა არა მარტო მესაქონლეობას, არამედ ხვნა-თესვასაც, ამიტომაც, რომ ჩვენი მთამაღალი ათა ერთი და ორი კულტურული მცენარის წარმოშობის კერაა.

დამრეც ფერდობზე ძალიან ფრთხილი მოვლის დროსაც მიწა მაინც ირეცხებოდა, მწირდებოდა და ბოლოს და ბოლოს ასევე მიწას სტოვებდნენ, ახალ ნაკვეთს ტეხდნენ ისევ ფერდობზე, ბოლოს ეს ნაკვეთიც პირველის ან სხვა წინამორბედის ბედს იზიარებდა. ჩვენი მომთაბარე მესაქონლეობაც უარყოფითად მოქმედებდა ბუნებრივ მცენარეულ საფარზე, განსაკუთრებით მთის ტყეზე და მდელოზე, უწესრიგო ძოვება, უდროოდ ექსპლოატაცია, საძოვრის გადატვირთვა და სხვა უარყოფით დაღს ასვამდა სათიბ-საძოვრებს. ბუნებრივი სათიბ-საძოვრებია 1638400 ჰექტარი, აქედან საძოვარია 1479300 ჰა, მათ შორის 1168 700 ზაფხულისა, 310. 600 ჰა ზამთრისა. სათიბები კი მხოლოდ 159.100 ჰა.

პასპორტიზაციის შედეგად მიღებული ცნობების თანახმად უარყოფითი სასოფლო-სამეურნეო შეფასება აქვს 35,4%, ე. ი. დაახლოებით 400.000 ჰექტარს, ესენია ეროდირებული და ჩაბებკილი საძოვრები. დასარეველიანებულია ძიგვათი 100.000 ჰა, შხამათი — 18.700 ჰა, ფესვმაგარათი და მარმუქით — 321.500 ჰა, ე. ი. სულ 900.000 ჰექტარამდე, ანუ 70% მთის საიოვრებისა დეგრადირებული და გამოყენებულია არამთლიანად.

ეროზიული მოვლენების გამო მთიან მხარეებში ჩამოწრილია მრავალი ათასი ჰექტარი, განსაკუთრებით, მთავარ კავკასიონზე და ქართველოს სამხრეთ მხარეში.

ტყეებს საქართველოს 35,7% უჭირავთ, ანუ 2.520.637 ჰა. ამგვარად, საერთო გატყეება რესპუბლიკისა თითქოს ცუდი არ არის, მაგრამ საქმე ისაა, რომ ტყეები რაიონის მიხედვით არათანაბრადაა განაწილებული, ზოგან გატყიანების % 50-ია, ზოგან ერთიც არაა, მიუხედავად ამ საერთო დამაკმაყოფილებელი სურათისა, საქართველო მაინც უტყეო ქვეყნად ჩაითვლება, რადგან საქართველოს ტყეების 97% მთის ტყეებია — ანუ ისინი ნიადაგის დაცვისა და წყლის შემნახავი ტყეებია, ამ ტყეების ექსპლოატაციისათვის შემუშავებულია წესები, მაგრამ

რადგან ამ წესებს სამეურნეო ორგანიზაციები ხშირად არ იცავენ, ჩვენი ტყეების ფართობი უკანასკნელ ხანში 400.000 ჰა-ით შემცირდა და გამეჩხვრა.

ყოველზე ზემოთქმულის შემდეგ საკვირველი არ არის, რომ მრავალი ჩვენი მთის მდინარე და მისი ხეობები ღვარცოფების ძლიერ ქერებად გადაიქცნენ (არაგვი, თერგი, ღურუჯი, ინწობი, ყვირილა და მრავალი სხვა):

დღემდე ღვარცოფებს გრანდიოზული საინჟინერო ღონისძიებებით ებრძვიან და ბიოლოგიური მეთოდები სათანადოდ არ არის გამოყენებული: ყოველ შემთხვევაში, ჩვენში. აქ მხედველობაში გვაქვს, ერთის მხრივ, დარღვეული ნიადაგისა და მცენარეული საფარის აღდგენა. ამ ღონისძიებების გატარების დროს მასალა ადგილობრივ უნდა იქნას აღებული, თვითონ ღვარცოფის კერის არეში გვაქვს მცენარეული საფარის როგორც დეგრადაციის, ისე აღდგენის ყველა ეტაპი, აქვე მოიპოვება აღმდგენელი მცენარეები.

მთის სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მხარის განვითარების პერსპექტივები. ჩვენი მთის ბევრი მხარე კლიმატურ სადგურებამდე გარდაიქმნება. ამიტომაც მხედველობაში უნდა მივიღოთ მთის მცხილეობა. ზემო სვანეთში, 1600—1800 მეტრის სიმაღლეზე უკვე აშენებენ კურკოვან და თესლოვან ხეხილს, ბევრია ევროპული ჯიში (ბალი — დროგანა, ვაშლი: ზამთრის პარმენი, ზამთრის ბანანი, კანადური რენეტი, ინგლისური პეპინი, მსხალი: სენეერმენი და სხვა. ზამთრის საძოვრები მოკლე ხანში აღარ გვექნება, ალბათ უნდა გადავიდეთ მთაშიც სტაციონარ მეცხოველეობაზე, მაშასადამე, საჭირო იქნება სათიბ-საძოვრების რეკონსტრუქციისათვის სათანადო ღონისძიებათა ჩატარება, საჭირო სათეს მცენარეთა პლანტაციების ამთავითვე შექმნა. ამისათვის აუცილებელია მცენარეთა შერჩევა, გამონახვა და გამოყვანაც.

საქართველოს ბარი იფარება ახალი ტექნიკური კულტურებით, ჩაით, ციტრუსებით, ბალით, ვენახით. ამისათვის კი საჭირო იქნება ამ კულტურების საზღვრების გადაწევა, ერთის მხრივ, მთისკენ და, მეორეს მხრივ, ნახევრადუდაბნოებისაკენ. ყოველივე იმას წინ უნდა უსწრებდეს მომავალი კულტურების ფართობების დეტალური შესწავლა.

ამ ამოცანის გადასაჭრელად საჭიროა პირველ რიგში მცენარეული საფარის შესწავლა, ინდიკატორთა დასახვა კულტურული მცენარეებისათვის, როგორც კულტურულ მცენარეთა მთელი კომპლექსისათვის, ისე ცალკეული სახეობებისათვის. გეობოტანიკური რუკების შედგენის დროს რუკაზე მცენარეთა ფორმაციების გარდა უნდა იყვეს

ასახული ღონისძიებანი სათიბ-საძოვრების გასაუმჯობესებლად, ტყე-ების აღდგენა-მოვლისა და სოფლის მეურნეობის იდეალური თუ არსებული საზღვრები, ე. ი. რუკა უნდა იყოს პერსპექტიული, რუკაზე აღნიშნული უნდა იყვეს არა მარტო დღევანდელი, არამედ ხვალინდელი დღეც.

რუკის აგრონომიზაცია არ ნიშნავს იმას, რომ გეობოტანიკური კარტირების პრინციპები უკან იხევენ, წინააღმდეგ, გეობოტანიკა და ფლორისტიკა საფუძველია გეობოტანიკური რუკის აგრონომიზაციისათვის, რადგან ფლორისა და მცენარეული საფარის ღრმა ცოდნა მოგვცემს მასალებს იმისათვის, რომ უფრო ეფექტურად გამოვიყენოთ ბუნების მთვლემარე შესაძლებლობანი, ვიდრე დღემდე ვიყუებდით. რუკაზე უეჭველად უნდა შემოიხაზოს მთების ისეთი ფერდობები, რომელნიც მოითხოვენ აღდგენით სამუშაოებს. ასეთნი კი ბევრია კავკასიაში (სომხეთი, აზერბაიჯანი, დაღესტანი, საქართველო). ცალკე უნდა იყვეს მოხაზული ღვარცოფების კერებიც, რათა დაისახოს ღონისძიებანი მათ მოსასპობად.

ამავე რუკაზე შეძლების ფარგლებში უნდა აღინიშნოს სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის ტიპები და კულტურულ მცენარეთა გამდიდრების გზები.

ამავე რუკაზე უნდა იყვეს აღნიშნული კულტურულ მცენარეთა პირველადი თუ მეორადი წარმოშობის კერებიც. რაც თავისებური ისტორიული რუკაც იქნება ყოველივე ამის შემდეგ შემოიხაზება კულტურულ მცენარეთა გავრცელების ზღვარი. გეობოტანიკური ფერად რუკაზე სოფლის მეურნეობის მცენარეთა ტიპები და დაჯგუფებები აღინიშნება შტრიხებით იმგვარად, რომ მის ქვეშიდან გამოსკვიოდეს გეობოტანიკური რუკის ყველა ტიპი.

გ ე ო ბ ო ტ ა ნ ი კ უ რ ი რ უ კ ა      ა გ რ ო ბ ო ტ ა ნ ი კ უ რ ი რ უ კ ა

- |   |  |
|---|--|
| 1. კოლხიდის დაბლობის ქაობე-ბი.  | 1. სუბტროპიკული ტექნიკური კულტურები.   |
| 2. კოლხიდის ლიანიანი ტყე 2000 მმ და მეტი დანალექით.                   | 2. სუბტროპიკული მეხილეობა და მეჩაიეობა.  |
| 3. კოლხიდის ლიანიანი ტყე ნალექებით 2000 მმ-ზე ნაკლები.                | 3. მეჩაიეობა, კონტინენტური მეხილეობა, სუბტროპიკული მეხილეობა და ტექნიკური კულტურები. |
| 4. კოლხიდის ტყე მარადმწვანე ქვეტყით, სადაც ნალექები 1500 მმ ნაკლებია. | 4. მეჩაიეობა, ზამთრის მებოსტნეობა და კონტინენტალური მეხილეობა.                       |

5. კოლხეთის მარადმწვანე ქვეტყიანი ტყეები, ნალექები 1000—1200 მმ.
6. კოლხური ტყე რცხილნარით, ჯაგრცხილნარით, ქართული მუხის მუხნარით კირქვებზე.
7. კოლხური ტყეები ეწერზე.
8. კახეთის ვაკის ტყეები გამოტანის კონუსებზე ძეძვნარევი.
9. ველები, ნათელი ტყეები, ძეძვიანები და სხვა ქსეროფიტული ბუჩქნარი.
10. აბზინდიან-უროიანი, აბზინდიანი, ჩარანიან-ყარლანიანი კომპლექსები.
11. ჯაგეკლიანი ველები მთების წინაკალთებზე.
12. მუხნარები ქართულ მუხისაგან, ჯაგრცხილნარები ძეძვისა და სხვა ქსეროფიტი ბუჩქების მონაწილეობით.
13. მთის წიფლნარები, მთის რცხილნარები, მუხნარები ქართული მუხისგან დასაველეთ საქართველოში.
14. წიფლნარები, რცხილნარები. აღმოსავლეთ საქართველოში.
15. ნაძვნარ-სოკნარები.
16. ნაძვნარ-სოკნარები, და ფიჭვნარები სამხრეთ საქართველოში.
17. მალაღმთის ველები.
5. მეჩაიეობა და სუბტროპიკული მეხილეობა.
6. კონტინენტალური მეხილეობა, მევენახეობა, ტექნიკური კულტურები.
7. მევენახეობა (სუფრის ღვინოები და შამპანური), მებოსტნეობა და მებაღეობა.
8. ხარისხოვანი მეღვინეობის მევენახეობა.
9. მევენახეობა და მშრალი სუბტროპიკების მეხილეობა.
10. სუფრის მეღვინეობა, შემაგრებული ღვინოები, სუბტროპიკული მეურნეობა, ნესვი-საზამთრო.
11. კონტინენტალური მეხილეობა, მევენახეობა სუფრის და შამპანური ღვინოების მიმართულებისა.
12. კონტინენტალური მეხილეობა, მევენახეობა.
13. მეტყევეობა, მეხილეობა, მევენახეობა ბუნებრივად ტკბილ ღვინოებისათვის.
14. მეტყევეობა, მეხილეობა.
15. მეტყევეობა, მეხილეობა.
16. მეტყევეობა, კონტინენტალური მეხილეობა.
17. ხენა-თესვა, მთის მეხილეობა.

18. დასავლეთ საქართველოს სუბალპების მდელოები.
19. აღმოსავლეთ საქართველოს სუბალპების მდელოები.
20. სამხრეთ საქართველოს სუბალპების მდელოები.
21. ალპური მცენარეულობა.

18. მემდელოეობა, ბაგური მესაქონლეობა.
19. მემდელოეობა, ჯერჯერობით მომთაბარე მეცხოველეობა მსხვილფეხა მესაქონლეობა (ბაგური).
20. მემდელოეობა, ბაგური მესაქონლეობა.
21. მაღალმთის ალპური მემდელოეობა.

ეს სქემა რასაკვირველია ამომწურავი არაა, იგი მოყვანილია რო-როგორც საორიენტაციო მაკროსქემის ნიმუში. ფორმაციების ყოველ ჯგუფში შეიძლება და უნდა გამოიყოს, ასოციაციათა ჯგუფები აგრო-მიმართულებით. უფრო დანაწილებული მაჩვენებლით.

მაგალითად მოვიტან რამოდენიმე ნიმუშს

გ ე ო ბ ო ტ ა ნ ი კ უ რ ი რ უ კ ა ა გ რ ო გ ე ო ბ ო ტ ა ნ ი კ უ რ ი რ უ კ ა

1. ქალის ტყე ხვალთი და ლაფნით.
2. ვაკის ტყე გრძელყუნწა მუხით და სუბერიანი თელით.
3. თელიანები სუბერიანი და შეფოთლილი თელით.
4. ჭაგეკლიანი ქართული მუხის ნარევით.
5. მუხნარი გრძელყუნწა მუხით.
6. გამოტანის კონუსების ძეძვიან-მუხნარები.
7. ძეძვიანი საკმლის ხის დერივატებით.
8. მუხნარ-რცხილნარი (ქართული მუხა).
9. საკმლის ხიანი ველისა და ნახევარ-უდაბნოს მცენარეულობის კომპლექსში.

1. ნესე-საზამტრო.
2. ორდინალური ღვინოების მევენახეობა.
3. ხარისხოვანი მეღვინეობა (თელიანი).
4. ხარისხოვანი წითელი ღვინის მევენახეობა.
5. ხარისხოვანი მეღვინეობა.
6. ხარისხოვანი მეღვინეობა „წინანდლის“ ტიპის.
7. კახური ხარისხოვანი ღვინოები „ტიბანის“ ტიპისა.
8. კახური ხარისხოვანი მეღვინეობა („წინანდლის“ ტიპის).
9. შემაგრებული ღვინოები, სუფრის ყურძნის მევენახეობა.

## გეობოტანიკური რუკა

1. უროიანი ველი.
2. ვაციწვერიანი ველი.
3. ნახევარ-უღაბნოს მცენარეულობა.
4. ავშნიანი და ავშნიან-უროიანი.
5. ნათელი ტყეები.
6. ძეძვიანი, და სხვა ქსეროფიტული ბუჩქნარი.
7. ღვიიანები.
8. ძეძვიანი ვიწროფოთლება იორდასალმით.

## აგრობოტანიკური რუკა

1. მევენახეობა (სუფრის ღვიინობები).
2. მევენახეობა, მებაღეობა.
3. მევენახეობა შემავრებულ ღვიინობისათვის, სუფრის მევენახეობა, მშრალი სუბტროპიკების მეხილეობა, ამჟამად ზამთრის საძოვრების მემდელოობა.
4. მშრალი სუბტროპიკების მეხილეობა, მევენახეობა, ამჟამად ზამთრის საძოვრების მემდელოობა.
5. მშრალი სუბტროპიკული მეხილეობა, მევენახეობა.
6. მშრალ სუბტროპიკების მეხილეობა, მევენახეობა.
7. მეტყვეობა.
8. ხარისხოვანი მელვინეობა.



## ВВЕДЕНИЕ

Агрогеоботаническая карта — это по существу графическое изображение сельскохозяйственной деятельности населения страны и возможных перспектив дальнейшего ее развития в данных конкретных природных условиях. Поэтому построению агрогеоботанической карты обязательно должно предшествовать составление геоботанической (для восстановленного растительного покрова) и агрогеоботанической карт местности. Кроме того, для облегчения установления возможных границ распространения тех или иных культурных растений большое значение имеет предварительное уточнение соответствующих индикаторов из местной дикорастущей флоры.

Грузия — один из важных очагов происхождения культурной флоры, где одомашнивание растений продолжается и ныне. На примере этой страны особенно наглядно прослеживается не только значение, которое может иметь агрогеоботаническая карта в деле планирования и специализации сельскохозяйственного производства, но и сам процесс составления такой карты.

Основными предпосылками для этого является уточнение того, какие именно культурные растения произошли на данной территории, какие из них остались на месте или эмигрировали, где встречаются в настоящее время или вовсе исчезли, каков полный список ныне возделываемых здесь культурных растений и т. д. Лишь после выяснения всех этих вопросов на уже составленную геоботаническую карту восстановленного растительного покрова наносятся границы существующего распространения сельскохозяйственных растений. Внутри этих главных границ выделяются районы ведущих и основных групп культурной флоры (растения влажных субтропиков, растения сухих субтропиков, районы — зоны виноградарства, континентального плодоводства, полеводства и т. д.), причем каждая из этих групп наносится соответствующей штриховкой на геоботаническую карту, в результате чего хорошо выявляется связь основных формаций растительного покрова с существующим распространением культурных растений. Например, в рай-

онах распространения столового виноделия прослеживаются формации степей, держи-дерева, дубняков из грузинского дуба и т. д., в районах же сухого субтропического плодоводства и сладких крепленых вин — полупустыши, аридные леса и др. Таким образом, выясняется, что область перечисленных формаций является областью существующего и возможного возделывания виноградной лозы и сопутствующих культур и второе плодовых сухих субтропиков.

Из такого сопоставления напрашивается вывод о том, что названные растительные формации представляют собой индикаторы виноградарства и плодоводства сухих субтропиков и что незаштрихованные области распространения этих формаций могут быть использованы для дальнейшего расширения площадей под виноградными плантациями.

Этот принцип положен в основу составления нашей агрогеоботанической карты Грузии и использован для всех групп сельскохозяйственных растений.

## ГЛАВА I

### РАСТИТЕЛЬНЫЙ ПОКРОВ ДОЛИННЫЕ ЛЕСНЫЕ ФОРМАЦИИ

Приречные и равнинные леса распространены в Восточной Грузии по поймам рек. Все они являются аналогами тугайных лесов Средней Азии, кроме разве только лесов среднего течения р. Алазани.

Кახетинские приречные леса Алазани имеют отдаленную генетическую связь с лесами Колхиды и Талыша: лапина — *Pterocarya pterocarya* (Mchx.) Kntz., дзелква — *Zelkova carpinifolia* Pall.) Dipp., плющ Пастухова — *Hedera pastuchovii* Woronow. Основной фон в них создается белолисткой гибридной (*Populus hybrida* M. V.), ольхой (*Alnus barbata* C. A. Mey.), ивой (*Salix australior* Anderss.), дубом черешковым (*Quercus longipes* Stev.), пльмами (*Ulmus suberosa* Moench., *U. foliacea* Gilib.), плющом обыкновенным (*Hedera helix* L.), обвойником (*Periploca graeca* L.), павоем (*Smilax excelza* L.), диким виноградом (*Vitis silvestris* J. F. Smel.) и другими.

В лесах поймы Куры и ее притоков (Иори, Арагви, Ксани, Лсахви, Кца, Алгети, Тедзани, Дзама) первая приречная полоса создана из белолистки гибридной, черного тополя, ольхи, ив. Во второй полосе преобладают черешковый дуб, пльмы, клен полевой (*Acer campestre* L.), ясень (*Fraxinus excelsior* L.). Деревья, особенно в прибрежной части, обычно переплетены лианами, но они непроходимых зарослей не создают. В этих лесах уже отсутствуют такие обычные для приалазанских лесов компоненты, как лапина, плющ Пастухова и другие колхидские и талышские элементы.

В пойменных лесах в большом количестве отмечаются плодовые деревья и кустарники: восточная яблоня, кавказская гру-

ша, алыча (*Prunus divaricata* Ledeb.), мушмула, кизил, черешня, айва (*Cydonia oblonga* Mill.) и др.

Равнинные, дубовые и ильмовые леса еще в недавнее время занимали обширные пространства на низменных равнинах В. Грузии, но они уступили место пашням, садам и виноградникам, населенным пунктам или же более ксерофитным группировкам естественной растительности (степям). Эти леса создавались из видов, встречающихся в настоящее время как в прибрежных лесах, главным образом во второй их полосе, так и в предгорных дубовых (из грузинского дуба) и дубово-грабовых группировках.

